№ 122
ოთხშაბათი, 20 ივლისი

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 122
ოთხშაბათი, 20 ივლისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверіа“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

რედაქციისაგან

რედაქცია ამით აუწყებს თავისს ხელის მომწერლებს, რომ ვისაც ამ თვის ოცამდის ხვედრი ფული არ შემოუტანია, 21-დან გაზეთის გზავნა მოესპობა.

ახალი წიგნი

ეროვნული ენა

თხზ. პეტრე სურგულაძისა

გამოცემა „ცისკარისა“ № 2.—ფასი 15 კაპ

დაიბეჭდა და იყიდება „ივერიის“ რედაქციის კანტორასა და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში.

დოქტორი მედიცინისა

ვლ. ი. ინაშვილი

ქიღებს ყოველ დღე 1—3 საათამდე და საღამოთი 6—8 საათამდე შინაგანის, ქალების და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ.

ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 31. (10—8)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშნვით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. **ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ხ. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფების ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ახალი წიგნი

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც

ნაწერები

პეტრე უმიკაშვილისა

გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.

ფასი 30 კაპ.

ორნაირი ლოღიკა

ახლანდელი დრო, წინანდელთან შედარებით, ბევრის მხრით არის გამამხნევებელი, იმედისა და სასოების ჩამსახველი. დღეს ჩვენში ხდება ბევრი ისეთი ამბავი, რომლის მსგავსიც ამ 30 წლის წინად შეუძლებელი იყო. საზოგადოებრივი აზრი, ხალხის შეგნება და შეგნება იმდენად გაიზარდა, რომ სულ რაღაც ამ ოცი წლის წინანდელი მდგომარეობა ზღაპრად გვეჩვენება. ასეთი მოვლენა, რასაკვირველია, დიდად სასიამოვნო და გასახარელია.

სასიამოვნოდ აღსანიშნავია დღეს აგრეთვე ისიც, რომ საზოგადოებრივ აზრის გამოსაფხიზლებლად სახმარი საშუალებაც უფრო ხელმისაწვდომი გახდა, უფრო გაადვილდა. თუ წინად ჩვენს პრესსას ორიოდე კაცი მეთაურობდა და ხალხის წრიდან გამოსული მუშაკები ძალიან ნაკლებ ჰყავდა, დღეს ეს აღარაა: ყველანი ვხედავთ, რომ „მწერალთა“ რიცხვი იზრდება და მრავლდება. ქართულ პრესსას თანდათან ემატებიან მშრომელნი, რომელნიც საზოგადოების, ესრედ წოდებულ, საშუალო და დაბალ წრიდან არიან გამოსულნი, და ამგვარად, მოქმედ ძალთა შედგენილობის მხრით, პრესსას და საჟურნალ-გაზეთო მუშაობას თანდათან ეკარგება ის არისტოკრატიული ელფერი, რომელიც წინად ჰქონდა. ქართველ ჟურნალისტთა ჯგუფში იზრდება დემოკრატიული ნაწილი, და ამ გარემოებას, უეჭველია, თავისი გავლენა აქვს პრესსის გადემოკრატებაზედაც. რა თქმა უნდა, ჩვენ ესეც სასიამოვნო მოვლენად მიგვაჩნია და მას ვთვლით ისეთ საზოგადოევრივ ფაქტად, რომელიც მოწმობს ხალხის გონებრივ განვითარებასა და წინმსვლელობას.

მაგრამ სინათლეს ჩრდილიც თან ახლავს ხოლმე... და აღნიშნულ მოვლენასაც ახლავს ერთი მხარე, რომელიც სწორედ „ჩრდილის“ მაჩვენებელია, და ამიტომ ყოველი პატიოსანი ჟურნალისტი ვალდებულია ყურადღება მიაქციოს მას და ეცადოს სამწერლო მოღვაწეობის ზნეობრივ გაფაქიზებასა და ამაღლებას.

საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენში არიან ისეთი „დემოკრატი“-ჟურნალისტები, რომელთაც „დემოსის“ უზრდელი სიტყვა-პასუხი მიაჩნიათ დემოკრატობის სახასიათო ნიშნად. მოგეხსენებათ, რომ მდაბიო ხალხის შვილი, რომელსაც ხელოვნური სწავლა-აღზრდა არ უგემნია, ლაპარაკში ხშირად თავაზიანობას მოკლებულია. იმ ერთის ჯურის ჟურნალისტებსაც გამოუხატავთ თავში, რომ, რახან ჩვენ „დემოკრატები“ ვართ, ხალხის ინტერესებს „ვიცავთ“,—სიტყვა-პასუხიც ხალხური უნდა გვქონდესო, და ამიტომ რაიმე საკამათო საგანზე სტრიქონს ისე არ დასწერენ, რომ იდეურ მოწინაამდეგეს თავზე ლაფი არ გადაასხან და თავით ფეხამდის ლანძღვა-გინების ქუჟუში არ ამოსვარონ. და ეს მოვლენა — დამეთანხმეთ, — ისეთი „ჩრდილია“ ჩვენს სამწერლო ასპარეზზე, რომ ღირს მას ყურადღება მივაქციოთ და უმსგავსოება შესაფერად დავგმოთ.

რასაკვირველია, ლანძღვა-გინება არა დროს არ არის მოსაწონი და შესაწყნარებელი. მაგრამ იგი ცოტაოდნად მაინც საპატიებელი იქნებოდა, ხსენებულ ჯგუფს სიმართლე რომ ჰქონდეს და უცილობელ ჭეშმარიტებას რომ იცავდეს. მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ მათს საქციელს ეს ჭეშმარიტებაც არ მიუძღვის წინ და ამიტომ მთელის მათის „ნაწარმოებიდან“ რჩება მხოლოდ უშველებელი ლანძღვა-გინება და პირადობის შელახვა, რომელიც, სამწუხაროდ, გონებრივ გაბედულებად და იდეურ უპირატესობად მოეჩვენება ზოგიერთ განუვითარებელ მკითხველს...

ამის მაჩვენებელი ფაქტები მრავალთ მრავალია ჩვენს მწერლობაში, მაგრამ ჩვენ დღეს მხოლოდ ერთ პატარა, მაგრამ საგულისხმიერო, ამბავს მოვიხსენიებთ.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენს „დასელებს“ არ დაუტოვებიათ არც ერთი საშუალება, არც ერთი საბუთი და არა-საბუთი, რომელიც არ ეხმაროთ საქართველოს ავტონომიის დასაგმობად და უარსაყოფელად. ისინი ისეთ სიბრძნემდინაც კი მივიდნენ: ავტონომია რომ არ ვარგა ხალხისთვის, ეს იქიდან სჩანს, რომ მას აზნაურებიც თხოულობენო. და, აბა, ავტონომია რომ კარგი იყოს ხალხისთვის, განა მას აზნაურები მოითხოვდნენო!

ჩვენ გაგვაკვირვა აზრის ასეთმა სილატაკემ და ერთხელ აღვნიშნეთ კიდეც „ივერია“-ში. იქ ვამბობდით, რომ, თუ ავტონომია თავის-თავად ვარგა, მას არაფერი მოაკლდება ღირსების მხრივ მაშინაც, როცა აზნაური თხოულობსო.

„ასეთი მსჯელობა, რასაკვირველია, ყოველ შეგნებულ მკითხველს გააცინებს, —ვწერდით ჩვენ მაშინ „დასელების“ შენიშვნის გამო, —და ჩვენც სწორედ სიცილის ღირსად მიგვაჩნია იგი. მაგრამ თვით „დასელებს“ ასეთი „იბრძე“ დიდ საბუთად, შეურყეველ ჭეშმარიტებად აქვთ წარმოდგენილი. ჩვენ გვინდა დღეს ასეთი შეხედულება ერთის წუთით შევითვისოთ და თვითონ „დასელების“ „ტაქტიკას“ ამ მათისავე მსჯელობის რეცეპტის მიხედვით თვალი გადავავლოთ“.

ამის შემდეგ მოხსენებული გვქონდა, რომ თვითონ „დასელებს“ ზოგიერთი ისეთი მოთხოვნა აქვთ პროგრამაში, რომელიც სომხის ბურჟუაზიის მოთხოვნას ეთანხმება: „დასელები“ თხოულობენ კავკასიისთვის ერთ საოლქო თვით-მართველობას; სომხის ბურჟუაზიაც ამასვე თხოულობს. „დასელები“ „ეკონომიურ განვითარების შედეგად“ სთვლიან ჩვენში უცხო ხალხის გადმოსახლებას და ამ მოვლენას არ ეწინააღმდეგებიან; სომხის ბურჟუაზიაც ნადელებს თხოულობს ოსმალეთიდან გადმოსახლებულთათვის. როგორც ხედავთ, თანხმობა არის.

თუ თქვენის ლოღიკით ვიხელმძღვანელეთ, მაშ თქვენი მოთხოვნა და პროგრამის მუხლები ყოფილა მარტო იმ საფუძველით, რომ მას ბურჟუაზიაც ემხრობაო,—ასე ვათავებდით ჩვენ ჩვენს შენიშვნას.

იმათ, ვისაც ჩვენი შენიშვნა შეეხებოდა, პასუხი გაგვცეს, მაგრამ როგორი,—ამას არ დაიჯერებთ, სიტყვა-სიტყვით თუ არ ამოვწერეთ: „ივერია“ რომ მართლა მოწინააღმდეგეებსავით ყოფილიყო შეიარაღებული, ე. ი. მეტი ლოღიკა და მეტი დაკვირვება გამოეჩინა, ამას არ დასწერდა და მით თავის თავს სწორედ ახირებულ მდგომარეობაში არ ჩააყენებდა“. როგორც ხედავთ, — ულოღიკობას გვისაყვედურებენ. ახლა დახედეთ მათს ლოღიკას: „ივერიას“ ძლიერ გაჰკვირვებია ის,—განაგრძნობენ ჩვენნი მხილებელნი,—რომ ჩვენ და სომხის ბურჟუაზია თითქმის ერთსა და იმავეს ვთხოულობთ,—კავკასიის საოლქო თვითმართველობას. მით უკეთესი,—ჩვენ მარტო არ ვყოფილვართ. რა არის ამაში საძრახი?—გაუგებარია“.

და ასე, როცა „დასელებს“ სომხის ბურჟუაზია ემხრობა, ეს დასაძრახისი არაა, ეს მათის შეხედულების სისწორეს ამტკიცებს, ხოლო როცა ჩვენ ვემხრობით დემოკრატიულ ავტონომიას და ამასვე მხარს უჭერენ აზნაურები,—ეს ჩვენს ფეოდალობასა და ხალხის მტრობას ამტკიცებს. და ასეთის ლოღიკის პატრონები ჩვენ ულოღიკობას გვიკიჟინებენ...

ამას კიდევ არ მივაქცევდით ყურადღებას, რომ საპასუხო წერილი გაჟღენთილი არ იყოს ლანძღვითა და უსაფუძვლო ბაქი-ბუქით: ჩვენ თურმე არა გვაქვს არც ლოღიკა, არც ცოდნა, არც დაკვირვება. ვართ მეტიჩარა და უბედო, გაბახებული, გაშოტვილი, და ვინ იცის, კიდევ, რა.

რას იტყვით, მკითხველო, იმ ხალხზე, რომელიც, როგორც თქვენის თვალით დარწმუნდით ისე ღატაკია ლოღიკით და თავის ულოღიკობას კი ჰფარავს ქუჩურ ლანძღვა-გინებით? ნუ თუ იმ ხალხს, რომელიც მსჯელობის ასეთ ნიმუშს იძლევა, უფლება აქვს სხვას ულოღიკობა და უვიცობა უკიჟინოს?

ამაზე პასუხს ჩვენ აღარ მოგცემთ, — თქვენვე განსაჯეთ...

ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობა

ახალ ხანას კაცობრიობის განვითარებაში, სხვათა შორის, ახასიათებს აზრთა გაზიარების საოცარი ზრდა და მწიგნობრობის დიადი განვითარება. დღეს საოცარის სისწრაფით ვითარდება პრესსა, ე. ი. ჟურნალ-გაზეთობა, რომლის გავლენაც ყოველ კულტურულ ქვეყანაში მეტად საგრძნობელია.

პირველი ყოველ-დღიური გაზეთი გამოვიდა გერმანიაში (ლეიპციგში) 1661 წ., სახელად „Leipziger Zeitung“, 1702 წელს ყოველ-დღიური გაზეთი გამოვიდა ინგლისში, ხოლო 1777 წ.—საფრანგეთში.

თავდაპირველად გაზეთი წარმოადგენდა მხოლოდ ცნობათა ფურცელს,—აქ თავმოყრილი იყო სხვადასხვა ცნობები. მაგრამ მოკლე დროში ფაქტების შეგროვებასთან ერთად გაზეთებმა მსჯელობაც დაიწყეს და ხალხში თავის რწმენის გავრცელებას მიჰყვეს ხელი.

მაგრამ დიდხანს არ შერჩენია გაზეთს თავისუფლება. არა თუ საკუთარ აზრის გამომჟღავნება, სხვადასხვა საზოგადოებრივ მოვლენების კრიტიკულად განსჯა, აწონ-დაწონა და დაფასება, — უბრალო წვრილმან ფაქტების გამოაშკარავებაც კი არა-სასურველი იყო მთავრობისათვის, სულ ერთია, როგორიც უნდა ყოფილიყო ეს მთავრობა,—სასულიერო თუ საერო. რაც უნდა დაბალ საფეხურზე იდგეს გაზეთი, მას ცხოვრების ამბები საჯაროდ გამოაქვს, ავრცელებს, ყველას აგებინებს, და ეს კი სრულიად არაა სასურველი ამ ქვეყნისა ძლიერთათვის. უკვე 1479 წელს სასულიერო მთავრობამ განკარგულება მოახდინა,—თვალ-ყური ადევნეთ ყველა სტამბებსო. 1486 წელს კი მაინცის კურფიურსტმა პირველად შემოიღო გერმანიაში ცენზურა.

ეს სიტყვა ჩვენში, ვისაც კი მწერლობაზე რამე გაუგია, ყველას კარგად ესმის. ცხადია, სადაც ცენზურა არსებობს, იქ აზრის თავისუფლება არაა. აშკარაა, ასეთ გარემოებას ვერ შეურიგდება ხალხი. მართლაც დემოკრატიამ, ბევრ სხვა მის განვითარების შემაფერხებელ ძალებთან ერთად, ცენზურაც მოსპო და ამით აზრს მისი შემბოჭველი ბორკილი მოაშორა.

ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში ვკითხულობთ: „აზრების თავისუფლად გამოთქმა არის ადამიანის ერთი უძვირფასესი უფლებათაგანი; ყოველ მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად ილაპარაკოს, სწეროს, დაბეჭდოს რაც სურს, და პასუხის მგებელია ამ თავისუფლების ბოროტად გამოყენებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომელიც კანონითაა განსაზღვრული“. საფრანგეთის **1791** წლის კონსტიტუციაში ვკითხულობთ: „კონსტიტუცია უზრუნველ-ჰყოფს ყოველ მოქალაქის ბუნებით კუთვნილ უფლებას,—თავისუფლად ილაპარაკოს, წეროს, ბეჭდოს და გამოაქვეყნოს თავისი აზრები, რისთვისაც ის თავისუფალია ყოველგვარ წინასწარ ცენზურისა და გადასინჯვისაგან“. ბელგიის კონსტიტუციის მეთვრამეტე მუხლში სწერია: „ბეჭდვითი სიტყვა თავისუფალია; ცენზურა არ არსებობს; ავტორებს, გამომცემლებს ან სტამბის პატრონებს არ მოეთხოვებათ საწინდარი“.

ამნაირად, ეს ორიოდე მაგალითიც გვიჩვენებს, რომ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება აუცილებელი პირობათაგანია ყოველ ცოტაოდენ განვითარებულ საზოგადოების არსებობისა. მაგრამ ჩვენ აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას. საუკეთესო უზრუნველყოფა მწერლობის თავისუფლებისა მაშინ არის დაწესებული, როცა მწერლობა არაა გამოცალკევებული საერთო კანონმდებლობისაგან და სავსებით ექვემდებარება საერთო და არა განსაკუთრებულ კანონებს. ასეთი წესი თავისუფლების საუკეთესო გარანტიაა. ამის მაგალითია ინგლისი. ლორდი მანსფელდი ასე ახასიათებს მწერლობის თავისუფლებას ინგლისში: „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება გამოიხატება იმაში, რომ შეგიძლიანთ ყველაფერი, რასაც კი მოისურვებთ, დაბეჭდოთ ყოველისავე წინასწარ ნების დაურთველად, ხოლო პასუხის მგებელი იქნებით კანონის წინაშე“. ასე საქმის მოწყობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. როცა მწერლობა კანონმდებლობაში ცალკე საგნადაა აღნუსხული და მისი მოქმედება განსაკუთრებულ კანონებს ექვემდებარება, მაშინ მოხელეებს შეძლება ეძლევათ, სდევნონ მწერლობაში ის, რაც მათთვის სასარგებლო არაა. აქ ჩნდება თვითნებობის თავისუფალი ასპარეზი. როცა კი მწერლობა სრულიად განცალკევებულ საქმედ არაა აღიარებული და ის საერთო კანონმდებლობას ემორჩილება, მაშინ არავითარის თვითნებობას ადგილი აღარ აქვს და მხოლოდ უფლებრივი წყობილების სისტემატიური მოქმედებაა ძალაში.

მართლაც, ინგლისი უფლების ბატონობის ქვეყანაა... იქ არ შეიძლება ვინმე პირადად, ან ქონებრივად დასჯილ იქმნას, თუ არ კანონის დარღვევისათვის, და ეს დარღვევა უნდა დამტკიცდეს ჩვეულებრივ კანონიერის გზით და ჩვეულებრივ სასამართლოს წინაშე. მაშ აქ ადგილი არა აქვს ისეთ გამგებლობის სისტემას, რომელიც დაფუძნებულია მთავრობის მოხელეების ფართო და განუსაზღვრელ ძალდატანებაზე. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ ინგლისში არავინ არა სდგას კანონზე უფრო მაღლა. ყოველი ადამიანი, მიუხედავად თავის საზოგადოებრივ მდგომარეობისა, ემორჩილება სახელმწიფოს ჩვეულებრივ კანონებსა და ჩვეულებრივ სასამართლოს. ამნაირად, იქ გაბატონებულია ერთი იდეა: ყველა ინგლისელი კანონის წინაშე თანასწორია. ამიტომ ინგლისში ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება ისე ესმით, რომ მწერლობის საქმე დაუქვემდებარეს პრინციპს, რომლის ძალითაც არავის დასჯა არ შეიძლება, თუ არ პირდაპირ კანონის დარღვევის გამო.

ამ პრინციპის განხორციელება ცხად-ჰყოფს, რომ მასთან ერთად შეუძლებელია ცენზურის არსებობა, ესე იგი, შეუძლებელია ვისმე ხელი შეუშალონ რისამე დაბეჭდვაში.

ყოველი მწერლობაში მომუშავე ექვემდებარება თავის თანასწორ მოქალაქეთა,—ნაფიც-მსაჯულთა—სასამართლოს. ამ აზრს ასე გამოსთქვამს ერთი ინგლისელი: „ყოველ ადამიანს შეუძლიან საჯაროდ გამოსთქვას ყველაფერი, რაც თორმეტ მის თანამემამულეთ არ მიაჩნიათ გასაკიცხად; მაგრამ იგი დაისჯება, თუ რაიმე გასაკიცხს მოიმოქმედებს (ე. ი. თუ თორმეტი მისი თანამემამულე დაინახავს, რომ მისი ნამოქმედარი გასაკიცხია). ამნაირად, ბეჭდვითი სიტყვის მოქმედების განსაზღვრა ბიუროკრატიის ხელში კი არაა, —მას თვალყურს ადევნებს თვით ხალხი, საზოგადოება. ამ პირობებში მწერლობა სრულიად თავისუფალია და მისი ნორმალური ზრდა უზრუნველ-ყოფილია...

ამ ბოლო დროს რუსეთში, როგორც რუსულ, ისე სხვა ენებზე, ბევრი წიგნი იბეჭდება. და ეს იმას გვიჩვენებს, რომ ხალხის გონებრივმა მოთხოვნილებამ წაიწია წინ. ყოველივე დაბრკოლება, რომელიც მწერლობის განვითარებას აფერხებს, მაინც ძლეული ხდება და ძლევამოსილი აზრი თავისს მსვლელობაში თანდათან...

მთელს რუსეთს ეფინება; თქვენ კი, —ქართველებო, —ეს წიგნები გაწყენთო. საკვირველია! რა დავაშავეთ? რატომ ეს ზედმეტი შევიწროება მხოლოდ ჩვენთვის გაჩნდა?..

პ. სურგულაძე.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

19 ივლისი.

სიმფეროპოლი, 17 ივლისი. გაზეთებში გამოქვეყნებულია ცნობები „პოტემკინ“-ის მეზღვაურთა შესახებ: „რუმინიელები ძლიერ მტრულად ექცევიან. სამუშაო სრულებით არ არის; დამშეულები არიან და რუსეთში დაბრუნებას აპირებენო“.

ტაშკენტი, 18 ივლისი. ერთს მოხელეს, რომელსაც ბანკიდან 13500 თუმანი მიჰქონდა, თავს დაეცნენ კავკასიელები და ორი ათასი თუმანი წაართვეს. სამი ბოროტ-განმზრახველი დაიჭირეს და ცხრაასი თუმანი დაიბრუნეს.

მოსკოვი, 18 ივლისი. პოლიციამ პეტროვსკ-რაზუმოვსკში დაატუსაღა ქურდები, რომელნიც ძლიერ მდიდრულად ცხოვრობდნენ და თავიანთ საკუთარ ეტლებით დასეირნობდნენ ხოლმე. ქურდები საიდუმლო პოლიციის ერთს აგენტს აღმოუჩენია.

პეტერბურგი, 18 ივლისი. უმაღლესი ბრძანებ უმართ. სენატს, 13 ივლისის თარიღით: 26 თებერვლის ბრძანებით, აღვადგინეთ-რა ხელმწიფის მოადგილის თანამდებობა კავკასიაში, ჩვენ ამ მხარეში მივანიჭეთ მას უფლებანი მინისტრებისა და მთავარგამგებლისა, რომლის ძალითაც ხელმწიფის მოადგილეს ნება აქვს მოხელეებს ერთ თანამდებობიდან მეორეზე გადაყვანისა, მათის დათხოვნისა, პასუხისგებაში მიცემისა, ჩინებითა, პენსიითა და სხვა საჩუქრებით დაჯილდოვებისა. ახლა კი, თანახმად ხელმწიფის მოადგილის მოხსენებისა, რომელიც დაფუძნებულია მის-მიერ კავკასიის საჭიროებათა შესწავლაზე, მთელის იმპერიის ნაწილების სამოსამართლო დაწესებულებათა შორის განუწყვეტელ კავშირის დასაცველად და მათის თავისუფლების უზრუნველ-საყოფელად გიბრძანებთ, სამოსამართლო უწყების მოხელეთა შესახებ ხელმძღვანელობდეთ იმ კანონებით, რომელიც კავკასიაში ხელმწიფის მოადგილის თანამდებობის აღდგენამდე იყო.“

ვარშავა, 18 ივლ. გუშინ საღამოთი, პრაგის სადგურზე, უცნობთა ბრბო საქონლის ვაგონებს დაეცა და გაძარცვა. მოსამსახურე ზამში, რომელმაც უვირილი მორთო, მოჰკლეს. ამან სხვა მოსამსახურეები დააფრთხო და წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

ბელგრადი, 18 ივლ. არჩევნების შედეგი ასეთია: არჩეულ იქმნა 81 დამოუკიდებელი რადიკალი, მთავრობის პარტია, 55 ზომიერი რადიკალი, 13 ნაციონალისტი, 3 ლიბერალი, 4 პროგრესისტი, 2 სოციალისტი, 1 გლეხთა პარტიისა. ახალი სკუპჩინა 25 ივლისს შეიკრიბება.

ჰელსინგფორსი, 18 ივლ. სვეაბორგს, ცარევნას ნავთსადგურში, ვარჯიშობის დროს, ორთქლმავალი ნავი წყალქვეშ ნაღმს წააწყდა. 7 კაცი დაიღუპა, 8 დაიჭრა.

ლომჟა, 18 ივლ. გუბერნიის სამმართველოსთან საზოგადო წიგნთ-საცავი დაარსდა.

პარიზი, 18 ივლისი. ამბობენ, მადრიდში მყოფმა გერმანიის ელჩმა რადოვიცმა ესპანიის მთავრობას წინადადება მისცა, მაროკკოს კონფერენცია მადრიდში იქმნას მოწვეულიო. აქამდის გერმანიის მთავრობა თხოულობდა, რომ კონფერენცია მაროკკოში მოეწვიათ.

სოფია, 18 ივლისი. სტამბოლიდან იუწყებიან, პოლიციამ ბულგარიის საექსარხოსო გასჩხრიკა და მოსამსახურენი და სამი მაღალი მოხელე დაატუსაღა.

ლოძი, 18 ივლისი. კომენდანტმა გაზეთი „გონეც ლოძინსკი“ აკრძალა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

17 ივლისი

პეტერბურგი. გენერალ ლინევიჩის დეპეშა 16 ივლისის თარიღით: „ჯარის ფრონტზე ცვლილება არ არის. ხაილუნჩენის რაიონში, 10 ივლისს, ერთს რაზმს ფანგოულინის მთა-გრეხილზე ხუნხუზებთან შეტაკება მოუხდა. 11 ივლისს აღმოსავლეთის რაზმმა სოფელი ერდაგოუ დაიჭირა. 13 ივლისს რაზმმა იაპონელებს კვლავ უკან დაახევინა და სოფელ მალუგოუს მიუახლოვდა. ჩვენმა ჯარმა იაპონიის პოზიციებს ზარბაზნები დაუშინა და საღამოს ექვსს საათზე იერიში კიდეც აიღო. იაპონელებს ბრძოლის ველზე ბევრი დაჭრილი და დახოცილი სალდათი დარჩათ“.

პეტერბურგი. უმთავრეს საზღვაო შტაბის ცირკულიარი. ტყვეობიდან დაბრუნებული მღვდელმონაზონი ზოსიმე იუწყება, რომ ცუსიმის ბრძო-

ლის დროს ჯავშნიან გემ „სენიავინ“-ზე არავინ დაღუპულა, ყველანი ტყვედ არიანო.

ნიუ-იორკი, 18 ივლ. გაზეთები იუწყებიან, სატოს სიტყვებმა რუსეთ'ში ცუდად იმოქმედაო. ყოველ შემთხვევაში, სატო ირწმუნება, რაცა ვსთქვი, არც კომურას და არც მთავრობის მინდობილობით არ მითქვამს, არამედ მხოლოდ იაპონიის ხალხის აზრი გამოვთქვიო. მიუხედავად ამ განცხადებისა, აშკარაა სატოს სურვილი. მას სურდა გაეგო, რას მოითხოვს იაპონია ისეთს, რომ რუსეთიც დასთანხმდესო.

პარიზი, 18 ივლ. „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტი „კაიზერ ვილჰელმზე“ კიდევ ესაუბრა ვიტტეს, რომელმაც განაცხადა, იმპერატორის სურვილი მთელის ქვეყნის პატივისცემის ღირსია და რუსეთის ხალხის თვალში მოსაწონიო. ხელმწიფის ჰუმანიურის სურვილით ვიხელმძღვანელებ და ყველაფერს გავაკეთებ, რაც კი რუსეთის ღირსებასა და სახელს შეესაბამებაო. ყოველმავე ცდამ უნაყოფოდაც რომ ჩაიაროს, მაინც რუსეთი დამნაშავე არ იქნებაო. „ჩემი პირდაპირი მოვალეობა,—სთქვა ვიტტემ,—ზავზე თათბირის დაწყება კი არა, საზავო მოლაპარაკების სურვილის დადებაა. ამიტომ ჩემი მისწრაფება უსათუოდ ზავის ჩამოგდება არ არის, თუმცა კი გულ-მხურვალედ მსურს, რომ მე მხვდეს წილად ასეთის საქმის დაბოლოვება, თუ კი ნიადაგს ვიპოვნით საზავო თათბირის დასაწყებადო“.

ლონდონი, 17 ივლისი. „ტაიმს“-ს ტოკიოდან ატყობინებენ, იაპონური გაზეთები რუსეთისა და გერმანიის იმპერატორების შეხვედრას გულ-გრილად უცქერიანო. გაზეთებმა იციან, რომ ვილჰელმი ზავის შესახებ მოლაპარაკებას ხელს უწყობდა და შესაძლებლად არა სთვლიან, რომ ახლა ხელი შეუშალოსო.

ვაშინგტონი, 18 ივლისი. როგორც აქ ლაპარაკობენ, ლანსდოუნი არ უღალატებს იმ პრინციპს, რომელიც ამბობს: „ინგლისი—იაპონიის მოკავშირეა“, და რუსეთს ვერ დაეხმარებაო. ინგლისი დარწმუნებულია, რომ იაპონია მცირე მოთხოვნილებას წარადგენსო. ვაშინგტონის მთავრობასთან დაახლოვებულნი ჰფიქრობენ, იაპონია ვლადივოსტოკის იარაღის აყრაზე რუსეთს ძალას არ დაატანსო

ტოკიო, 17 ივლისი. როჟესტვენსკის უკეთობა ეტყობა. ოპერაციის შემდეგ ლოგინიდან დგება, სავარძელში ჯდება, თუმცა ფეხის ტკივილი სიარულს უშლის და ოთახიდან გარედ ვერ გამოდის. ადმირალი იაპონლების მოვლით კმაყოფილია.

ნიუ-იორკი, 18 ივლისი. მანჯურიის ოკუპაციის შესახებ რუსეთსა და იაპონიას შორის შეთანხმებას სატო შესაძლებლად სთვლის. როგორც ამბობენ, კომურას ტოკიოდან ყოველ დღე დეპეშით ატყობინებენ მანჯურიაში ჯარის მოძრაობის შესახებ დაწვრილებითი ცნობებს.

ლონდონი, 18 ივლისი. „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტი უმავთულო ტელეგრაფით იუწყება გემ „კაიზერ-ვილჰელმ''-ზე ვიტტესთან საუბრის შინაარსს. როგორც ეტყობა, ვიტტეს უნდა განეცხადებინოს: ,,თუმცა სრულის ნდობით აღმჭურვეს, მაგრამ ჩემი უმთავრესი დანიშნულებაა იმის გაგება, თუ რა პირობითა სურთ იაპონელებს ზავის ჩამოგდება. ასეთი მინდობილობაც ხელმწიფე იმპერატორის დიდ გულწრფელობას ამტკიცებს''. ვიტტემ სთქვა: წარმოვიდგინოთ, ომი იმის გამო ასტყდა, რომ რუსეთმა იაპონიის მოთხოვნილებანი არ მიიღოო. იაპონიას ახლა აზრადა აქვს ეს მოთხოვნილებანი უსათუოდ დააკმაყოფილოს. გარდა ამისა, იაპონია იმედოვნებს, რომ ისეთი მოთხოვნილებანიც დააკმაყოფილოს, რომელიც წინად არ დაუსახელებია. ვხედავ რა არსებითად ამ საკითხს, არ შემიძლიან მსჯელობა ვიქონიო იმ მოთხოვნილებათა შესახებ, რომელსაც იაპონელები მომავალ გამარჯვებაზე დაამყარებენო.

ტოკიო, 18 ივლისი. 15 ივლისს, შუადღისას, სამხრეთით რუსების სადევნად გაგზავნილ იქმნა ერთი რაზმი; ეს რაზმი რიკოვის სამხრეთით დაეწია 800 რუსის ქვეითა ჯარის კაცს. ჩვენის მარჯვენა ფრთეს საწინააღმდეგოდ რუსებსა ჰყავდათ 3000 ქვეითა ჯარის კაცი 4 ზარბაზნით და 4 ტყვიის-მფრქვეველით. მარცხენა ფრთედის წინააღმდეგ კი—2,000-მდე კაცი და 4 ზარბაზანი. ორას კაცზე მეტი მოკლულ იქმნა, ტყვედ წაიყვანეს 500 კაცი. მოჯიდან იუწყებიან: მანჯურიიდან მოსულნი სამხედრო საქმის ზედმიწევნით მცოდნენი ამბობენ, ლინევიჩმა შეივსო ის ნაკლი, რომელიც ჯარს მუკდენთან ბრძოლის დროს მოუვიდა, და ახლა 50—70 ათას კაცით მეტი ჰყავს, ვიდრე მუკდენთან ჰყავდათო. რუსებმა ბევრი ახალი სადგური ააგეს. მოწინავე პოზიციებზე ზარბაზნები, სამხედრო მასალა და მძიმე მორტირები გადააქვთო.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4-ზე გვერდზე).

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსეთის რწმუნებული ჩერნოგორიაში. 16 მაისს ჩერნოგორიის ერთ ქალაქში რაღაც დღესასწაული უნდა ყოფილიყო, რომელსაც ჩერნოგორიის ტახტის მემკვიდრეც უნდა დასწრებოდა. წინა დღეს ცუსიმის ბრძოლის ამბავი მოვიდა და მთელმა ჩერნოგორიამ გაიგო, რომ რუსები დამარცხდნენ. რუსეთის რწმუნებულმა სოლოვიოვმა მემკვიდრეს, მთავარს დანიელს სთხოვა, დღესასწაული გადასდეთ იმ უბედურებისა გამო, რომელიც რუსეთს დაემართაო. დანიელმა არა თუ არ გადასდო დღესასწაული, პირიქით, ამ დღესასწაულზე ჯარს სიტყვა უთხრა და აღნიშნა იაპონელთა სიმამაცე, ვაჟკაცობა, მოიხსენა რუსები. სოლოვიოვმა ეს ამბავი რუსეთის მთავრობას შეატყობინა, მაგრამ ბოლოს (ნ.).

სხვადასხვა სახელმწიფოების ძალა ზღვაზე. „ნაც. ცაიტუნგ“-ის ანგარიშით, პირველობა ზღვაზე, რასაკვირველია, ისევ ინგლისს ეკუთვნის. ინგლისის ფლოტის წყალწყვა უდრის 1,593,871 ტონნას; მეორე ადგილი უჭირავს საფრანგეთის ფლოტს—603,701 ტონ.; მესამე—გერმანიას—341,243 ტონ.; მეოთხე—ამერიკას—316,523 ტონ.; მეხუთე—იტალიას—254,510 ტონ.; მეექსე—იაპონიას—252,661 ტონ.; მეშვიდე—რუსეთს—224,237 ტონ.; მერვე—ავსტრიას—112,326 ტონ. ომის დაწყებამდე რუსეთის ფლოტს მესამე ადგილი ეჭირა, ეხლა კი მეშვიდეზე გადავიდა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იაპონია, დღეს თუ ხვალ, გამოიყენებს რუსეთის თვისწართმეულ და პორტ-არტურიდან ამოღებულ გემებს, რომელთა საერთო წყალწყვა 100,000 ტონნას უდრის, მისი ფლოტი დაიჭერს ან მესამე, ან მეოთხე ადგილს, ომის დაწყებამდის კი მერვე თუ მეცხრე ადგილი ეჭირა (ს. ო.).

სახალინის აღება. კორსაკოვსკის პოსტის აღების შემდეგ სახალინზე გადმოვიდა მეშვიდე დივიზია გენ. ტაკენაუჩის უფროსობით და ფეხდაფეხ გამოუდგა რუსეთის ჯარს, რომელიც უკან იხევდა. მეორე დღეს რუსები სოფელ სოლოვიოვკასთან შეჩერდნენ, მაგრამ იაპონელები წამოეწივნენ, განდევნეს და ისევ უკან დაედევნენ. რუსები ელანთან გამაგრდნენ, მაგრამ იაპონელები, ორი, დღის ბრძოლის შემდეგ ხიშტებით დაერივნენ და თითქმის მთლად ამოჟლიტეს. ამ ადგილას იაპონელებმა აიღეს 4 ზარბაზანი, 1 ტყვიის-მტყორცნელი და დაატყვევეს 80 რუსი. რუსები ცოტა გამაგრდნენ და მოუკისთან ჭაობების უკან გამაგრება სცადეს, მაგრამ იაპონელებმა აღარ აცალეს, მიესივნენ და ისე ამოჟლიტეს, რომ ამბის წამომღებიც კი აღარ დარჩა. დარჩა მხოლოდ რაზმის უფროსი, პოლკოვნიკი ალექსინსკი და 367 სალდათი, რომელნიც იაპონელებმა დაატყვევეს, სულ სახალინზე ჯერ-ჯერობით იაპონელებმა ხელთ იგდეს 10 ზარბაზანი, 3 ტყვიის-მფრქვეველი და დაატყვევეს 500-მდე კაცი (ზოგიერთ ცნობებით კი 700 კაცი). ცოტა ხნის შემდეგ იაპონელებმა უბრძოლველად აიღეს დეკასტრი, რომელიც ამურის ოლქის ნაპირზე მდებარეობს. ტელეგრაფი გადასჭრეს და სახალინი მთელ ქვეყანას მოაშორეს. ამჟამად სახალინი თითქმის მთლად იაპონელებს ეკუთვნის. დე-კასტრში გადმოსული ჯარი აღმოსავლეთისკენ წამოვიდა და დღეს, თუ ხვალ, მთელს ამურის ოლქს დაიპყრობს და ვლადივოსტოკისკენ მიმავალს გენ. ხასეგავას ჯარს შეუერთდება (რ. ვ.).

ახალი ამბავი

ტფილისის გუბერნატორის მოადგილემ წინადადება მისცა ქალაქის მოურავს, საქალაქო დებულების მე-83 მუხლის ძალით, ქართველ სამღვდელოების კრებაზე მომხდარ ინციდენტის შესახებ **ქალაქის საბჭოს დადგენილებას სისრულეში ნუ მოიყვანთო.**

✦ ქართლ-კახეთის სამღვდელოებამ **მიიღო თანაგრძნობის დეპეშა** გაგრაში მცხოვრებ ქართველებისგან იმ შეურაცხყოფის გამო, რომელიც 31 მაისის კრებაზე კაზაკებმა და პოლიციელებმა მიაყენეს.

✦ მთავრობის-მიერ გლეხების დასამშვიდებლად გაგზავნილმა თავ. ამილახვარმა მოახდინა ძალისის, მუხრანის, ქსოვრისის, წილკნის, იკორთის და სხვა ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთა ყრილობა. გენერალმა წარუდგინა მემამულეებთან მორიგების პირობები.

✦ გუშინ, 19 ივლისს, საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ბ-ნი რიბინსკი უკვე შეუდგა **ლ. ხერხეულიძის მკვლელების ინგუშ ასანისა** და პირველ საპოლიციო უბნის დარაჯის **საქმის გამოძიებას.**

✦ ქუთაისის მაზრის უფროსი თავ. ი. დადეშქელიანი, როგორც „ჩ. ვ.“ გადმოგვცემს, დაინიშნა **საგანგებო მინდობილობათა მოხელედ** კავკასიის ნამესტნიკთან.

✦ ამ დღეებში რუსული გაზეთები იუწყებოდნენ, რომ ცნობილი მუნჯურის მეთოდის მოტრფიალე და ამ მეთოდით სახელმძღვანელოს შემდგენი, განჯის გუბერნიის სახალხო **სკოლების დირექტორი ბ-ნი ლევიცკი გარდაიცვალაო.** ეს ცნობა, როგორც ჩვენ სარწმუნო წყაროდან გავიგეთ, მართალი არ არის. ლევიცკი ამჟამად პიატიგორსკშია **და სრულიად ჯანმრთელადაა.**

✦ განჯის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს ბ-ნს ლევიცკის თავის მუნჯურის მეთოდით შედგენილი ცნობილი „**რუსულ ენის**“ **სახელმძღვანელო ქართულად, სომხურად და თათრულად უთარგმნია** და ამჟამად უკვე აბეჭდვინებს. ავტორს თარგმანი ლექსიკონის სახით სახელმძღვანელოს ბოლოში ჩაურთავს და იმ ათასგვარ პედაგოგიურ უმსგავსობისათვის, რომელიც ასე უხვად მოიპოვებოდა მისს სახელმძღვანელოში, ერთი ზედმეტი პედაგოგიური უმსგავსობაც თავზე მოუხვევია.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ბ-ნ ზავადსკის **უკვე მოუწვევია იმ საბჭოს წევრები**, რომელმაც უნდა შეიმუშაოს პირველდაწყებით სკოლებისათვის სამოსწავლო გეგმა და ამ გეგმის მიხედვით განახორციელონ კავკასიის უმაღლეს მთავრობის ბრძანება, საშინაო ენაზე სწავლების შემოღების შესახებ. ამ საბჭოს თავმჯდომარედ მზრუნველს დაუნიშნავს ერევნის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ბ-ნი ალექსი ქიქინაძე, წევრებად მოუწვევია ტფილისისა, ერევნისა, ბაქოსა და განჯის გუბერნიებიდან თითო მასწავლებელი, ხოლო ქუთაისის გუბერნიიდან ორი მასწავლებელი. ტფილისის გუბერნიის მასწავლებელთაგან მზრუნველს მოუწვევია ბ-ნ ვ. ჯაფარიძე.

✦ გუშინ, 19 ივლისს, ტფილისის სახელოსნო გამგეობა შეუდგა ამქრების უსტაბაშების არჩევნებს. გუშინ მოხდა **არჩევნები დულგალთა უსტაბაშისა** დღეს დანიშნული აქვთ მილლელებისა და კალატოზებისა, ხვალ, 21 ივლისს, მხატვრებისა, ხოლო 23 ივლისს იუველირებისა, მეტყავეებისა და მეკვერეებისა.

✦ კავკასიისა, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის სხვადასხვა კუთხეებიდან ტფილის'ში ჩამოვიდნენ მალაკნები, რომლებიც ბორჩალოს მაზრის სოფელს ვორონცოვკაში მიემგზავრებიან ამ თვის 22-ს დანიშნულ **სრულიად რუსეთის მალაკანთა კრებაზე დასასწრებლად.** კრებაზე მიწვეულია ტფილისის საოლქო სასამართლოს ბრალმდებელი ბ-ნი ვერხოვსკი. კრება სამს დღეს გასტანს.

✦ ამ თვის 26 **დანიშნულია არჩევნები** ობოლთა სასამართლოს 2 წევრისა და 2 კანდიდატისა.

✦ ორშაბათს, 18 ივლისს, ქალაქის მოურავმა ქალაქის გამგეობას თავის რუსეთში მოგზაურობის შესახებ **ვრცელი მოხსენება წარუდგინა.**

✦ როგორც გორის მაზრიდან გვატყობინებენ, **გლეხთა მოძრაობა კვლავ დაწყებულა.**

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა: მისცეს ქალაქის აგენტებს ის უფლება, რომ ქალაქის მცხოვრებთ **ქალაქის გადასახადის შემოუტანლობისათვის მამული აუწერონ.**

✦ წარსულ კვირისათვის დანიშნული **დურგალთა საზოგადოების კრება**, წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, არ შესდგა.

✦ მიწად-მოქმედების დეპარტამენტის შეკითხვის შემდეგ, ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის **გამგეს ბ-ნ ხუნდაძეს საჭიროდ დაუნახავს,** სხვა სამოსწავლო საგანთა შორის, საბაღოსნო სკოლაში ისწავლებოდეს ცეცხლის ასაცდენ მშენებლობის საგანიც (огнестойкое строительство).

✦ მცხეთის დედათა მონასტრის წინამძღვრად, როგორც ამბობენ, ინიშნება კნ. ელ. ივ. ბარათაშვილისა, რომელიც ამ დღეებში **მოლოზნად უნდა აღიკვეცოს.**

✦ რადგანაც ბათომში **ვაჭრობა სრულებით დაეცა**, ძმ. იცხელების სავაჭრო სახლი ქუთაისს გადადის და ბათომში ვაჭრობას სრულიად სპობს. კოშკინიც სამუდამოდ სპობს ვაჭრობას. სასტუმროებში თითქმის ყველა რესტორანები დაკეტილია (ჩ. ვ.).

✦ 11 ივლისს მოხდა საჯარო ვაჭრობა **ავლაბრის საძოვრების იჯარით გაცემის შესახებ.** საძოვრები ისევ ძველ მოიჯარადრეს, მარტიროსოვს, დარჩა, სამის წლის ვადით. მარტიროსოვმა ქალაქის სასარგებლოდ წელიწადში 3500 მანათი უნდა იხადოს.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობა **სთხოვს ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს,** დააჩქაროს შემოტანა იმ გადასახადებისა და ჯარიმებისა, რომლებიც ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის შენობებზე ითვლება და რომლის ჯამიც 15,958 მან. და 7 კაპ. უდრისო.

✦ **რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი,** თხზ. პეტრე სურგულაძისა—„ეროვნული ენა“, გამოცემა „ცისკარისა“ № 2. წიგნი შეიცავს 80 გვერდს და ღირს სულ 15 კაპ.

✦ **სად. კოპიტნარი.** ნაშუადღევს 2 საათზე, სადგურის ბაქანზე, ვიღაცებმა სამჯერ რევოლვერი ესროლეს მეორე ნაწილის გზის ოსტატს დიკოვიჩს, მძიმედ დასჭრეს იგი და მიიმალნენ.

✦ ორშაბათს, 18 ივლისს, ქალაქის განაპირა „ვაკის“ უბანში ძლიერმა ქარიშხალმა დაანგრია სახლი

ფელეტონი

1862 წლის არჩევნები გერმანიაში

(თარგმანი გერმანულიდან)

ამჟამად ყველა, დიდი და პატარა, ლაპარაკობს სახელმწიფო წესწყობილების შესახებ. გაზეთებში, კრებებზე, დუქნებში—ყველგან კონსტიტუციაზე გაისმის ბაასი. მაგრამ ჰკითხეთ ამ მოლაპარაკეთ, რა არის კონსტიტუცია, მოსთხოვეთ ამ ცნების ახსნა,—დარწმუნებული ვარ, რომ უმეტესი ნაწილი ამ დაკითხვაზე ხეირიან პასუხის მოცემას ვერ მოახერხებს.

ბევრი საჭიროდ დაინახავს მოჰკიდოს ხელი 1850 წლის პრუსიის კანონების კრებულს და იქ გაიცნოს პრუსიის კონსტიტუცია.

მაგრამ თქვენ დაინახავთ ახლავე, რომ ეს კითხვის ნამდვილი პასუხი არ არის. ამ ტომში მოთავსებულია მხოლოდ ერთის განსაზღვრულ კონსტიტუციის აღწერა, სახელდობრ, პრუსიის კონსტიტუციისა, და, მაშასადამე, ეს ტომი ვერ მოგვცემს პასუხს იმ კითხვაზე, თუ რა არის საზოგადოდ კონსტიტუცია?

ეს კითხვა რომ მივცე იურისტს, მიპასუხებს: „კონსტიტუცია არის ხალხსა და მეფეს შორის დადებული ხელშეკრულობა, რომელიც აწესებს ქვეყნის მართვისა და კანონმდებლობის ძირითად პრინციპებს“. ან, რადგანაც არსებობს რესპუბლიკანური კონსტიტუციაც, ის მომცემს უფრო ზოგად განმარტებას: „კონსტიტუცია არის რომელსამე სახელმწიფოში აღიარებული ძირითადი კანონი, რომელიც ადგენს სახალხო უფლების ორგანიზაციას დასახელებულ სახელმწიფოში“. მაგრამ ესენი და ყველა ამგვარი ფორმალური იურიდიული განმარტება იმდენადვე შორს არის ჩემის კითხვის ნამდვილ პასუხზე, როგორც წეღანდელი პასუხი. ყველა ეს მხოლოდ გარეგნული აწერილობაა მისი, თუ როგორ შემოდის კონსტიტუცია და რას აკეთებს იგი. მაგრამ ამას კი ვერა ხსნიან, თუ რა არის თვითონ კონსტიტუცია. ისინი იძლევიან მხოლოდ გარეგან ნიშანს, რომლითაც შეგვიძლია ვიცნოთ კონსტიტუცია. ხოლო თვით ცნებას, შინაარსს კონსტიტუციისას ისინი არ გვიხსნიან. ამიტომ ასეთი განმარტებანი ვერ გვაძლევს საჭირო ცოდნას, რომ ამა თუ იმ კონსტიტუციის დაფასება შევიძლოთ: კარგია იგი თუ ცუდი, მკვიდრ ნიადაგზეა აშენებული თუ არა. ყველა ამას ჩვენ გამოვიცნობთ მხოლოდ მაშინ, როცა გვეცოდინება, თუ რა არის საზოგადოდ კონსტიტუცია, ან რა არის კონსტიტუციის დედა-აზრი. მხოლოდ მაშინ შევიძლებთ გადავწყვიტოთ, შეესაბამება ესა თუ ის კონსტიტუცია ამ დედა-აზრს თუ არა, ან რამდენად უახლოვდება მას. მაგრამ ამ დედა-აზრს არ გვიხსნის ზემოდ მოყვანილი განმარტება, რომელიც თანასწორად უდგება ყველა ქაღალდს, რომელზედაც ხელი მოაწერა ხალხმა, ან ხალხმა და მეფემ, და რომელსაც დაარქვეს კონსტიტუცია. აუცილებლად საჭიროა ვიცოდეთ საფუძველი, **ცნება** კონსტიტუციისა, და ადვილად გამოვიყვანთ შემდეგ იქიდან მთელს საკონსტიტუციო ხელოვნებასა და სიბრძნეს.

მაშ, ხელახლა ვკითხულობ: რა არის კონსტიტუცია? მისი ძირითადი დედა-აზრი რაშია?

რაკი ეს ჯერ-ჯერობით არ ვიცით, ამიტომ უნდა მოვნახოთ პასუხი: მოვნახოთ ერთად. მის მოსანახავად მივმართოთ იმ მეთოდს, რომელსაც ყოველთვის უნდა მიმართოთ, თუ გინდათ ნათელი აზრი შეადგინოთ რომელსამე საგანზე. ეს მეთოდი სულ უბრალოა. იგი მდგომარეობს იმაში, რომ ორ ერთგვარ საგანს ერთმანეთს ადარებთ და ცდილობთ სისწორითა და სავსებით მათ შორის არსებული განსხვავება აღნიშნოთ.

ამ მეთოდის მიხედვით, ვკითხულობ ახლა:

რითი განსხვავდება ერთმანეთში კონსტიტუცია და კანონი?

კონსტიტუცია და კანონი, არსებითად, ორივე ერთგვარია. კონსტიტუციას კანონის ძალა აქვს და, მაშასადამე, ისიც კანონია. მაგრამ იგი მხოლოდ კანონი არ არის, ის კანონზე მეტია. ეს განსხვავებაც ნამდვილად არსებობს, ამას კი ათასი ფაქტი გვიმტკიცებს ადვილად.

მაგალითად, თქვენ არაფერს ცუდს არა ხედავთ იმაში, რომ თითქმის ყოველდღე ახალ კანონებს სცემენ: პირიქით, თქვენ კარგად იცით, რომ კიდეც საჭიროა ყოველ წელიწადს რამდენიმე ახალი კანონი გამოსცენ. ყოველს ახალ კანონს კი უსათუოდ არსებულს კანონმდებლობაში რაიმე ცვლილება შეაქვს. ახალ კანონს რომ არაფერი ცვლილება არ შეჰქონდეს არსებულს კანონმდებლობაში, იგი უაზრო იქნებოდა, ზედმეტი, და არც არავინ გამოსცემდა მას. ამიტომაც თქვენ არაფერს ცუდს არა ხედავთ კანონების შეცვლაში, პირიქით, ეს თქვენ მთავრობის დაწესებულებათა ჩვეულებრივ საქმედ მიგაჩნიათ. მაგრამ საკმარისია ოდნავ ახლონ ხელი კონსტიტუციას, რომ განრისხებულმა ყვირილი მორთოთ: კონსტიტუციას გვართმევენ, კონსტიტუცია განსაცდელშიაო. რას ნიშნავს ასეთი განსხვავება? ეს განსხვავება იმდენად ცხადია, რომ ზოგ კონსტიტუციაში პირდაპირ დაკანონებულია, რომ მისი შეცვლა სულ არ შეიძლება; ზოგში გადაწყვეტილია, რომ მისი შეცვლა შეუძლიან საკანონმდებლო კრებას არა უბრალო ხმის უმეტესობით, არამედ ხმების ორ მესამედით; ზოგშიაც—ცვლილების შეტანა არ შეუძლიან არც საკანონმდებლო კრებას, თუნდაც მთავრობის სხვა დაწესებულებებთან ერთად; ხოლო, თუ საჭირო შეიქმნა კონსტიტუციის შეცვლა, უნდა მოწვეულ იქმნას ხალხის ახალი წარმომადგენლები ამ კითხვის გადასაწყვეტად.

ეს ფაქტები ნათლად გვიჩვენებს, რომ ყველა ხალხს ერთი და იგივე წარმოდგენა აქვს კონსტიტუციაზე: ეს არის რაღაც უფრო წმინდა და შეურყეველი, ვიდრე ჩვეულებრივი კანონი.

მაშ, დავუბრუნდეთ ისევ იმ კითხვას: რითი განირჩევა კონსტიტუცია ჩვეულებრივ კანონებისაგან?

ამ კითხვაზე ჩვეულებრივად უპასუხებენ ხოლმე ასე: კონსტიტუცია არ არის უბრალო კანონი, ის არის სახელმწიფოს ძირითადი კანონი. შესაძლებელია, ამ პასუხში იმალებოდეს ჭეშმარიტება, მაგრამ ეს პასუხი იმდენად ბუნდოვანია, რომ ამ სახით იგი ჩვენ არაფერს არ გვეუბნება. მაშინვე იბადება მეორე კითხვა: რა განსხვავებაა კანონსა და ძირითად კანონებს შუა? მაშ ჩვენ წინ ჯერ ერთი ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს. კონსტიტუციის მაგივრად, ჩვენ გვაქვს ახლა ახალი ტერმინი: „ძირითადი კანონი“; მაგრამ ეს ტერმინიც თავის-თავად არაფერს არ გვეუბნება, სანამ არ გავიგებთ, თუ რა განსხვავებაა კანონსა და ძირითად კანონს შუა.

დავუკვირდეთ „ძირითად კანონის“ სახელწოდებას,—შეიძლება ამით უფრო ადვილად დავუახლოვდეთ მიზანს. ვიკითხოთ: რითი უნდა განსხვავდებოდეს ძირითადი კანონი ჩვეულებრივის კანონისაგან, რომ მას სამართლიანად დაერქვას „ძირითადი კანონი“.

ძირითადი კანონი უნდა იყოს:

1) უფრო ღრმა კანონი, ვიდრე ჩვეულებრივი. ამას გვიჩვენებს თვით სახელწოდება „ძირითადი“, მაგრამ ის უნდა იყოს კიდევ.

2) ძირი, საფუძველი სხვა კანონებისა; ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვეულებრივი კანონები ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს ძირითადის კანონისაგან, მისგან უნდა იღებდეს ელფერს, შინაარსს; ძირითადი კანონი უნდა მოქმედებდეს და გამოსჭვიოდეს ყოველ ჩვეულებრივ კანონში.

3) მაგრამ ის, რასაც საფუძველი აქვს, ადვილად ვერ შეიცვლება,—იგი უთუოდ უნდა იყოს ისეთი, როგორიც არის. ეს საფუძველი ნებას არ აძლევს, რომ შეიცვალოს. მხოლოდ მას, რასაც საფუძველი არა აქვს, მხოლოდ შემთხვევითს რასმე შეუძლიან ხან იყოს ისეთიც, როგორიც არის, და ხან სხვანაირიც შეიქმნეს. ხოლო ყოველივე, რასაც საფუძველი აქვს, უნდა იყოს უსათუოდ და მხოლოდ ისეთი, როგორიც არის ნამდვილად, მაგ., მნათობნი მოძრაობენ ერთის განსაზღვრული მიმართულებით. ეს მოძრაობა ან ექვემდებარება ერთ რომელსამე ძირითად მიზეზს, ან არაფერს არ ექვემდებარება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოძრაობა შემთხვევითია და ყოველს მომენტში შეიძლება იგი შეცვლილ იქმნეს. მაგრამ თუ მას აქვს საფუძველი,—მეცნიერები ასეთს საფუძვლად ასახელებენ მზის მიმზიდველობას,—მაშინ ეს მიმზიდველობითი ძალა, როგორც საფუძველი, ძირითადი მიზეზი, საზღვრავს, აწესიერებს მოძრაობას ისე, რომ მას არ შეუძლია შეიცვალოს როგორმე. მაშასადამე, საფუძვლის ცნება შეიცავს რაღაც აუცილებლობის წარმოდგენას, იმ მომქმედ ძალას, რომლისგანაც გამოწვეულია და რომელზედაც დამოკიდებულია საგნის არსებული მდგომარეობა.

მაშასადამე, კონსტიტუცია თუ სახელმწიფოს ძირითადი კანონი არის, ჩვენ იგი უფრო მეტის სისწორითა და უფრო ნათლად უნდა გამოვარკვიოთ; ჯერ-ჯერობით ჩვენ ვნახეთ, რომ ეს ძირითადი კანონი არის მომქმედი ძალა, რომლიდანაც გამომდინარეობს ყველა კანონი და უფლებრივი დაწესებულება. ასე რომ, ამათ გარდა სხვა რომელისამე კანონების არსებობა და შემოღება აღარ შეიძლება ამავე სახელმწიფოში.

მაგრამ არის კი სახელმწიფოში ისეთი ხელმძღვანელი და მომქმედი ძალა, რომელსაც ისეთი გავლენა აქვს კანონების გამოცემაზე, რომ ეს კანონები სწორედ ისეთი არის ხოლმე, როგორიც უნდა იყოს, და სხვანაირი კი არა.

დიაღ, არის ასეთი ძალა,—ეს არის **საზოგადოების ძალთა რეალური განწყობილება.**

ძალთა რეალური განწყობილება, რომელიც არსებობს ყოველს საზოგადოებაში, არის ის აქტიურად მომქმედი მიზეზი, რომელიც ადგენს ამ საზოგადოების კანონებსა და უფლებრივ დაწესებულებებს ისე, რომ ესენი ამა თუ იმ სახეს იღებენ; ადგენს ისე, რომ ესენი სისწორით გამოხატავენ საზოგადოების ძალთა რეალურ განწყობილებას.

მივმართოთ მაგალითს. იმ სახით, რა სახითაც მე აქ მას მოვიყვან, ის მაგალითი იქმნება, შეუძლებელი რამ იყოს, მაგრამ შემდეგში დავინახავთ, რომ იგი ცოტაოდენის ცვლილებით ცხოვრებაშიაც მოხდება ნამდვილად და, ამას გარდა, იგი სამეცნიერო მსჯელობისთვის, აქ, განყენებულად არის საჭირო ამა თუ იმ საკითხის გამოსარკვევად.

თქვენ იცით ბატონებო, რომ პრუსიაში მხოლოდ იმას აქვს კანონის ძალა, რაც არის გამოცემული კანონთა კრებულში. კანონთა კრებული იბეჭდება დეკერის სასახლის სტამბაში. კანონების დედნები ინახება ამა თუ იმ სახელმწიფო არქივში, დაბეჭდილი კრებულები—სხვა არქივებში, ბიბლიოთეკებსა და მაღაზიებში.

წარმოვიდგინოთ, რომ ერთს მშვენიერ დღეს გადაიბუგა მონარქიის ყველა ქალაქებში ყველა არქივი, ბიბლიოთეკა და მაღაზია, სადაც კი კანონთა კრებულები იყო შენახული; დაიწვა აგრეთვე სასახლის სტამბა დეკერისა, ასე რომ, მთელს პრუსიაში აღარ გადარჩა არც ერთი დაბეჭდილი ან დაწერილი კანონი.

მაშინ, მეტი გზა აღარ იქნება, უნდა შეადგინონ ახალი კანონები.

როგორა გგონიათ: შეიძლება თავის ნებით, ვისაც როგორი მოუნდება, ისეთი კანონი გამოაცხოს? ვნახოთ.

ვთქვათ, თქვენ იტყვით: კანონები აღარ არის, შევქმნათ ახალი კანონები, მაგრამ ისე, რომ მეფეს ნუღარ მივცემთ ყველა წინანდელ უფლებას, იმ უფლებას, რომლითაც იგი აღჭურვილი იყო აქამდე, ან და სულ გადავაყენოთ ხელმწიფე.

მეფე გიპასუხებდათ ამაზე: კანონი აღარ არის, მაგრამ მერე რა? ფაქტიურად ჯარი მე მემორჩილება,—როგორც ვუბრძანებ, ისე მოიქცევა; არსენალებისა და კაზარმების უფროსები ჩემის ბრძანებით გამოიტანენ თოფ-ზარბაზნებს და შეიარაღებული ჯარი ჩემის ბრძანებით გამოვა ქუჩაზე. აი, ასეთი ფაქტიური ძალა მაქვს ხელში, და ამის მეოხებით დავიცავ ჩემს ახლანდელ მდგომარეობას.

თქვენ ხედავთ, ბატონებო, რომ **მეფე, რომელსაც ემორჩილება ჯარი და ზარბაზნები, კონსტიტუციის ნაწილი ყოფილა!**

ან, შეიძლება, სთქვათ: ჩვენ, პრუსიელები, 18 მილიონი ვართ. ამ 18 მილიონშია ერთი-მუჭა მსხვილი მემამულე თავად-აზნაურობა—არ გვესმის, რისთვის უნდა ქონდეს ამ ერთ მუჭა თავად-აზნაურებს იმდენივე გავლენა, რამდენიც აქვს 18 მილიონ ხალხს. იმათ ხელშია კეთილშობილთა პალატა, რომელიც განიხილავს ხოლმე დეპუტატთა პალატის (ქვედა პალატის) დადგენილებებს და ყოველ ხეირიან დადგენილებაზე უარს აცხადებს ხოლმე. ჩვენ თანასწორნი ვართ, ყველა „კეთილშობილი“ ვართ და არ გვინდა კეთილშობილთა განსაკუთრებული პალატა.

ეჭვს გარეშეა, რომ მსხვილი მემამულე-აზნაურები თავის გლეხებს ვერ გამოიყვანენ თქვენს წინააღმდეგ. პირიქით, იმათ ძალიან გაუჭირდებათ თავი დაიცვან თვით თავიანთ გლეხების რისხვისაგანაც.

მაგრამ მსხვილ მემამულე-თავად-აზნაურებს მუდამ დიდი გავლენა აქვთ სასახლეში და მეფესთან და, ამ გავლენის მეოხებით, მათ შეუძლიანთ თქვენს წინააღმდეგ გამოიყვანონ შეიარაღებული ჯარი ისე, ვითომ ეს ძალა მათს პირდაპირ განკარგულების ქვეშ ყოფილიყოს.

მაშასადამე, თქვენ ხედავთ, რომ **თავად-აზნაურობაც**, რომელსაც გავლენა აქვს მთავრობაზე, **კონსტიტუციის ნაწილი ყოფილა.**

ან, წარმოვიდგინოთ შემდეგი შემთხვევა: მეფე და თავად-აზნაურობა შეთანხმდნენ და მოინდომეს საშუალო საუკუნოების ამქრულ წესის აღდგენა,—მოინდომეს საამქრო წესდების აღდგენა არა მარტო წვრილ ხელოსნობაში, არამედ ისე, როგორც იყო საშუალო საუკუნოებში, მთელს საზოგადოებრივ წარმოებაში, მაშასადამე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. აკოფოვისა შენობის ქვეშ მოჰყვნენ და მძიმედ დაშავდნენ დარაჯი გ. ოსიფოვი, ცოლი მისი მელანია და ზ. კამზალოვი. კამზალოვი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ გამოვიდა და ხელის მომწერთ დაურიგდა **საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადულის“ მე-XVI ნომერი** მცირე წლოვანთათვის და პედაგოგიური ფურცელი № IV. შინაარსი „ნაკადულისა“: გაზაფხული (ლექსი) ვ. რუხაძისა; თხა და —(თარგმანი) კატო თაქთაქიშვილისა; მელია და ჩიტუნია—ელ. ოკრიბელისა; ჭკრკუმელისის ამბავი—(გერმანულიდან); ამწვანებულ სამეფოში—კნ. ან. ამილახვარისა; ნარევი; სახალისო სამუშაო და გასართობი; განცხადება. შინაარსი „პედაგოგიურ ფურცლისა“: ბავშვის ზნეობრივი ბუნება; სექსუალური ანუ სქესობრივი აღზრდა. ბავშვის ჰიგიენა—ექ. ბაღარჯიშვილისა.

✦ 18 ივლისს, დილის 11 საათზე, დიდუბეში, გუბერნატორის მამულში ცეცხლი გაუჩნდა საჯინიბოს და სახურავი დაიწვა. ზარალი 200 მანათისაა.

✦ სპარსეთის ქვეშევრდომმა ოჰანეზ-ბაბაევმა პოლიცმეისტრის სამმართველოში განაცხადა:, ჩემი 14 წლის შვილი არტემა სადღაც დაიკარგაო.

კავკასიის მცხოვრებთა მიმართ.

ამ ბოლოს დროს და მეტადრე 6—10 თებერვალს ბაქოში მომხდარ სამწუხარო ამბების შემდეგ, კავკასიაში მცხოვრებ ორის ერის—სომხებსა და მაჰმადიანთა—შორის დამოკიდებულება მეტად გამწვავდა და ბაქოს ამბებს მოჰყვა სისხლის ღვრა ჯერ ქ. ნახიჩევანსა და ნახიჩევნის მაზრაში და შემდეგ ქ. ერევანსა და ერევნის გუბერნიის ზოგიერთ ადგილებში. რადგანაც ეს ადგილები გაფანტული და დაშორებულია იმ ადგილებზე, სადაც ჯარები სდგას და, ადვილი შესაძლებელიცაა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივმა მთავრობამ გამჭრიახობა ვერ გამოიჩინა, ამიტომ უწესოებამ კარგა ხანს გასტანა. ამ გარემოებამ მიზეზი მისცა არა კეთილ-საიმედო პირებს ხალხში ჭორები გაევრცელებინათ და დაეჯერებინათ იგი, რომ ვითომ ამ უწესოებას მთავრობა ხელს უწყობდეს, მე ყურადღებას არ ვაქცევ ამ ჭორებს, რადგან საღ გონებას იგი ეწინააღმდეგება, მხოლოდ ვალად ვრაცხ ჩემს თავს, მივმართო კავკასიის მცხოვრებთ, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, და ვურჩიო: დაივიწყონ ეროვნული შუღლი, რომელიც სპობს და აღარიბებს ხალხს, მეგობრულად გაუწოდონ ხელი ერთმანეთს და ერთად იმუშაონ სამშობლოს, კავკასიისა და ცოლ-შვილის საკეთილ-დღეოდ. უნდა ვიცოდეთ, რომ მხოლოდ საზოგადო მშვიდობიანი მუშაობა რუსეთის სახელმწიფოს შეერთებულ ერებისა ხელს შეუწყობს, როგორც სახელმწიფოს აღორძინებას საზოგადოდ, ისე მის იმპერატორებითი უდიდებულესობის ყოვლ ქვეშევრდომთა კერძოდ.

მივიღე რა განსაკუთრებული ზომები ზოგიერთა ადგილების დასამშვიდებლად, სადაც ამ ბოლოს დროს ბოროტ-მოქმედება გახშირდა, მსურს ვიწამო, რომ მცხოვრებთა მიმართ ნათქვამი გულ-წრფელი სიტყვა უფრო დაამშვიდებს მათ, ვიდრე სასტიკი სამხედრო წესები, რომლის მოსპობის შესახებ ვიშუამდგომლებ მისს უდიდებულესობის წინაშე. ამ საქმეში, იმედია, დამეხმარებიან როგორც გავლენიანი ერის კაცნი, ისე ყველა სარწმუნოების სასულიერო პირნი. კმარა შური, ერთმანეთის ხოცვა, დაწიოკება და გულში დამარხული უნდობლობა, კმარა რაც სისხლი და ცრემლი დაიღვარა!

ნამესტნიკი მის იმპერატორებით უდიდებულესობისა კავკასიაში, გენერალ-ადიუტანტი **გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.**

ქუთაისის დროებით გენ.-გუბერნატორის განცხადება

ბათუმის ქალაქის საბჭოს დარბაზში 25 და 31 მაისს შესდგა კრება ქალაქ ბათუმის სადგომების დამქირავებელთა, სადაც შეიმუშავეს შემდეგი მოთხოვნილებანი: 1) დაუკლონ სადგომების ფასს 50%; 2) მოსთხოვონ სახლის პატრონებს, რომ სადგომები თვითონ გააქირავონ და არა მოიჯარადრეებმა; 3) სადგომების დამქირავებელნი მოვალენი არ არიან პასუხი აგონ სახლების პატრონთა წინაშე სასამართლოს წესით; 4) სადგომების დაქირავების შესახებ პირობა უღერბო ქაღალდზე იწერებოდეს, და 5) თუ სახლის პატრონნი ან სადგომების დამქირავებელნი ამ პირობებს არ შეასრულებენ, გამოეცხადოთ მათ ბოიკოტი.

იმავე დარბაზში 24 და 30 მაისს შესდგა ნოქართა, სახლებისა და რესტორანების მოსამსახურეთა კრებაც, სადაც შემუშავებულ და წარდგენილ იქმნა სხვადასხვა მოთხოვნილებანი.

ყველა ეს ზემოხსენებული მოთხოვნილებანი მოყვანილი იყო გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ ნომრებში და მცხოვრებთა შორის, განსაკუთრებით კი სახლების პატრონთა შორის, გამოიწვია სხვადასხვანაირი ახსნა, განცვიფრება და სხვა. სადგომების ზოგიერთა დამქირავებელმა ხომ ეს მოთხოვნილებანი კანონიერად ჩასთვალა და სახლის პატრონთ გარიგებისა გვარად ქირა აღარ მისცა. ამასთან თავიანთ საქციელს იმ მოსაზრებაზე ამყარებენ, რომ ზემოაღნიშნული მოთხოვნილებანი შემუშავებული და დადგენილიაო ქალაქის საბჭოს დარბაზში, საბჭოს თანხმობით.

ამიტომ საჭიროდ ვსთვლი, საყოველთაოდ გამოვაცხადო, რომ, თუმცა სადგომების დამქირავებელთა, ნოქართა და სახლებისა და რესტორანებში მოსამსახურეთა კრება შესდგა ბათუმის ქალაქის საბჭოს დარბაზში, ამ გარემოებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ამ კრებებზე შემუშავებულ მოთხოვნილებებს კანონიერი ძალა არა აქვს და მოვალე არავინ არ არის, იგი სავალდებულოდ ჩასთვალოს. ჯერ ერთი, რომ ბათუმის ქალაქის საბჭომ არ იცოდა, რაში იყო საქმე; ამ კრებების ნებართვა მე მივეცი, ქალაქის საბჭომ მხოლოდ თავისი დარბაზი დაუთმო, ამასთან მეც შეცდომაში შემიყვანეს, რადგან ამ კრებების გამართვის ნამდვილი მიზანი დამიმალეს და არ მითხრეს. იმას თუ ვიფიქრებთ, რომ ქალაქის გამგეობამ იცოდა ამ კრებების მიზანი, არც გამგეობას და არც საბჭოს არ მიუღიათ, არც შეეძლოთ და არც ნება ჰქონდათ მიეღოთ მონაწილეობა ამ კრებებზე წამოყენებულ საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში, რადგან არ არსებობს ისეთი კანონი, რომლითაც ქალაქის გამგეობასა და საბჭოს შეეძლოს ამ საკითხებს შეეხოს; ქალაქის საბჭოს შეუძლიან მხოლოდ დააწესოს ნიხრი პურსა, ხორცსა და სხვა ამგვარ სანოვაგეზე.

რაც შეეხება სახლის პატრონთა, სადგომების დამქირავებელთა და მოსამსახურეთა შორის დამოკიდებულებას, ქალაქის გამგეობა და საბჭო კი არ აგვარებს მათ, არამედ ერთი-ერთმანეთში შეთანხმება და პირობის სიტყვიერად ან წერილობით ხელ-შეკრულობა. უთანხმოება, რომელიც ჩამოვარდება მათ შორის, უნდა გაარჩიოს სასამართლომ, ამიტომ სადგომების დამქირავებელთა დადგენილება, რომ მოვალენი არ არიან სახლების პატრონთა წინაშე სასამართლოს წესით პასუხი აგონ, უკანონოა.

პირობები უნდა იწერებოდეს ან შინაურულად, ან ნოტარიალურ წესით და უსათუოდ ღერბის ქაღალდზე, ამიტომ სადგომების დამქირავებელთა მოთხოვნილებაც, რომ სადგომების დაქირავების დროს პირობა უბრალო ქაღალდზე იწერებოდეს, უკანონოა და ამას, შეიძლება, ცუდი შედეგიც მოჰყვეს.

ამიტომ ვაფრთხილებ ყველას, რომ ზემოაღნიშნული ყველა მოთხოვნილება და დადგენილება უკანონოა და არავისთვის სავალდებულო არ არის.

ქალ. ბათუმი. 6 ივლისი 1905 წ.

ხელ-მოწერილია: ქუთაისის დრ. გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-ლეიტენანტი **თავ. ჯამბაკურ-ორბელიანი.**

სადღეისო

ნაწყვეტი წერილიდან...

ჩემო კარგო!

იწერები, შემოკანატრიო, რომ საზღვარ-გარედ ხარ, იქ, სადაც ხალხი მთლად გარდაქმნილი არ არის, სადაც ყველას ლაპარაკის, წერის, მისვლა-მოსვლის, შეჩერების თავისუფლება აქვს მინიჭებული, სადაც ხალხმა მისი შემბოჭავი ძალები უარჰყო და განვითარების ნამდვილ გზას მიაგნო...

იწერები, მეც საზღვარ-გარეთისაკენ წამოსვლა მინდაო, ველარ ვიტან აქაურ ცხოვრებას, სული მეხუთება, გული მისკდება, მინდა შევებრძოლო უსამართლობას, მაგრამ ყველგან მაღალი კედელი დამხვდაო, ყველა კარზე დარაჯი ატუზულა, სიტყვა რა არის, ხმის ამოღება,—ამასაც მიკრძალავს ბატონი და მისი ახალი მოურავიც თავზე წამომჯდომია და ენას მგლეჯს, მტანჯავსო...

—

სცდები, ძვირფასო!

სცდები იმიტომ, რომ უსამართლობას შებრძოლება სჭირია.

როდესაც შენს გარშემო აზვირთებული ცხოვრება ღელავს, როდესაც მისი ღრიალი ცასა წვდება, როდესაც მისი ქაფი ნაპირებზე სისხლივით ინთხევა და ნაპირიც მის ტალღების ძლიერებას ვერ უძლებს, ირღვევა, უფსკრულში მიდის;

როდესაც ორი მოპირდაპირე უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებს გასამაჯვებლად და ბრძოლაში ყოველი მცირედი ძალა, ყოველი ადამიანი ძვირფასია და საჭირო,—

ამ დროს გაქცევა, თვის შეფარება სადმე შორს, პირად კეთილდღეობაზე ზრუნვა... უზნეობაა!

—

ცხოვრება—ბრძოლაა!

არ არის ისეთი უფლება, რომელიც ადამიანს ბრძოლით არ ჰქონდეს მოპოვებული.

არ არის ბედნიერება, რომელიც ბრძოლის, ხანგრძლივ ბრძოლის შედეგი არ იყოს.

არ არის წინსვლა იქ, სადაც ბრძოლას გაურბის ადამიანი და სამშვიდობო ადგილს დაეძებს, როდესაც ხალხი ღელავს და უკეთეს მომავალს ეძებს.

არ არის წინსვლა იქ, სადაც ყველას თანასწორად შეგნებული არა აქვს თავისი მოვალეობა ხალხის წინაშე, სადაც ყველას თავი გამეტებული არა აქვს ხალხის საკეთილდღეოდ, სადაც ყველა არ ისახავს ცხოვრების მიზნად,—

მონობის მოსპობას, თანასწორობის დამყარებას დედამიწაზე...

—

გენატრება აქეთკენ მოსვლა!

იწერები,—იქ, საზღვარ-გარედ, უნდა ვიგემოო თავისუფალი ცხოვრება...

გრცხვენოდეს!..

რად გინდა კერძოდ შენთვის პირადი თავისუფლება აქ, როდესაც იქ, შენს მხარეში ხალხი, იბრძვის უკეთეს მომავლისათვის...

როგორ მოისვენებ, ან ასეთი მოსვენება რად გინდა!..

არა, ჩემო ძვირფასო, იქ დარჩი, უთუოდ...

—

გვერდში ამოუდექი შენ მოძმე-მეგობარს.

ლხინში თუ მასთან იყავი, ჭირში გაქცევა უზნეობაა!..

რად გინდა აქ უკვე არსებული სიტყვის, კალმის, შეკრების თავისუფლება, ეს სიტყვები შენ გულს შორიდან ტკბილ ოცნებასავით მოხვდება, ნამდვილად კი ამ თავისუფლებას აქ ვერ იგემებ, ვერ იგემებ იმიტომ, რომ იგი შენი მეცადინეობით, მოპოვებული არაგაქვს...

ამიტომ დარჩი იქვე...

დარჩი და შენი ხმა შეუერთე საერთო ღაღადს...

დარჩი და შენის მკლავით გაამაგრე საერთო ძალა...

და, მერწმუნე, მაშინ იგრძნობ, თუ რა არის ბედნიერება...

—

იქ, შორს მყოფსაც კი, იტაცებს ბრძოლის სურვილი...

აქ, სამშვიდობოში, ველარ ვიტან ყოფნას და მოვდივარ, მოვესწრაფები შინ, რომ სხვებთან ერთად მეც შევწირო თავი იმ იდეალებს, რომელიც ყველას აერთებს, ავაჟკაცებს, მკლავში უორკეცებს ძალას და გაკაჟებულ ხალხს გამარჯვების იმედსაც აძლევს!

ახლა მოსვენებულ ცხოვრების დრო აღარ არის..

და ნურც შენ გენატრება ეს მოსვენება...

მალე, მალე მოვალ მეც შენთან და ორივენი ერთად ვიქნებით..

ერთად... ერთობა—ძალაა!..

რეო.

გერმანელების შედარება რუსეთთან.

მაშინ, როდესაც რუსეთის ბიუროკრატია უკანასკნელ ძალ-ღონეს ხმარობს, რომ როგორმე შეინარჩუნოს არსებული მდგომარეობა... რუსეთის მეზობელი გერმანელები მშვიდობიანის შრომით სისწრაფით წინ მიდიან, საქარხნო მრეწველობას ანვითარებენ, მსოფლიო ბაზარზე უპირატესს ადგილებს იჭერენ და ამ ბოლო დროს თავიანთი მეურნეობაც უაღრეს წერტილამდე აიყვანეს.

რა თქმა უნდა, რომ ის ქვეყანა, რომელსაც ხვალინდელი დღე საზრუნავად არ გახდომია, რომელსაც ყოველ-დღიური მოთხოვნილება, შედარებით, იაფად შეუძლია დაიკმაყოფილოს, მთელს ძალ ღონეს საზოგადო ცხოვრების გაუმჯობესებას ანდომებს, ჰქმნის და ანვითარებს წარმოების ტეხნიკას, მეურნეობას და ცხოველებისა თუ ფრინველების მოშენებაშიაც კულტურა შეაქვს. ეს ხალხის შრომა მით უფრო ნაყოფიერია, რაც უფრო ხელ-ფეხი გახსნილი აქვს, რაც უფრო ხელს უწყობს მის განვითარებას როგორც საზოგადო წეს-წყობილება, ისე მთავრობაც. ის პედანტიზმი გერმანელებისა, რაც ასე აბუჩად აგდია რუსებს, აუცილებელი პირობაა საქმის გაწესრიგებისა და ნაყოფიერებისა: გერმანელის ცხოვრება ისეა განაწილებული, როგორც მსახიობთა შორის განაწილებული როლები. ყველამ იცის თავისი ადგილი, თავისი მოვალეობა, თავისი მიზანი. ამისთვის საზოგადო ცხოვრება იქ მწყობრად მიმდინარეობს, რასაც მოსდევს მრეწველობის საოცარი განვითარება, მეცნიერების აყვავება და საზოგადო ცხოვრების სრული შეხმატკბილება. რუსისათვის ასეთ განსაზღვრულ კალაპოტში ჩამოყალიბება თითქო მოსაწყენია, მის „ფართე ბუნებას“ არ შეეფერება. ვისაც გერმანიაში მოძრავი გამოფენა დაუთვალიერებია და მის მოწყობა-მომართულება გაუცვნია, გაოცდებოდა უთუოდ. რუსეთის გამოფენაში ისეთი წესიერი მუშაობა, ისეთი დარბაისლური დამოკიდებულება, ისეთი თავდაჭერილი მოპყრობა როგორც გერმანიაში, არსად არ არის. სამაგიეროდ ყვირილი, ჭყავილი, ლანძღვა, ალიაქოთი ყურებს გაგიჭედდათ რუსეთში. ძალაუნებურად ეკითხები შენს თავს: სად არის სათავე ასეთის აურ-ზაურისა, უწეს-რიგობისა? მიზეზი, სხვათა შორის, ისიც არის, რომ რუსეთში მუშას თავის ანაბარად არ მოასვენებენ, მოსვენებას არ მისცემენ, რომ თავის საზრით და გამჭრიახობით გააკეთოს რამე საქმე. ათასი მეთვალყურე, ათასი რევიზორი, ათასი მბრძანებელი დასდგომია თავს და ყველა თავისებურად ჩასჩიჩინებს. აქ თვით საქმის ცოდნა და ინტერესი კი არა, უფროსის ინადაანი სურვილი გამეფებულა. მუშა-კაცმა არ იცის, და არც ნება აქვს იცოდეს, რას აკეთებს ან რისთვის? საქმის გეგმა საიდუმლოებაა მისთვის. მისი ხელი უფროსის „ბრძანებას“ ემორჩილება. ამასთანა საქმეშიაც ისევე ინიციატივა-მოკლებულია და უფლება-აყრილია რუსი, როგორც საქვეყნო საქმეების მონაწილეობაში. ის არ არის თავისუფალი მუშა, არ არის თავისუფალი მოქალაქე, არ არის თავისუფალი ადამიანი.

გერმანელებში სულ სხვასა ვხედავთ: აქ ყველამ კარგად იცის თავისი ფასი და ადგილი საზოგადოებაში, სახელმწიფოში, სამუშაოში. თვით მცირე უმნიშვნელო საქმეშიაც კი პირადის თანადასწრებით თუ დაუსწრებლად იგი მონაწილე და თანაზიარია ყოველის საქმისა, ყოველის გეგმისა. ამისათვის სავსებით გათვალისწინებული აქვს ყოველ საზოგადო საქმის არსებითი მხარე და მიზანი. აი, უმთავრესი მიზეზი რუსეთის არეულ დარეულის ცხოვრებისა, რუსეთის ჩამორჩენისა. ამისათვის ყოველი ნამდვილი რუსი გულის სავსებით უერთდება იმ ცხოველ-მყოფელსა და გადამხალისებელს მისწრაფებას, რომელმაც ამ ბოლო დროს თავი იჩინა რუსეთში და რომელიც ესწრაფება ყოვლგვარი „აპეკა“ მოსპოს და

მსხვილ საქარხნო მრეწველობასა და სამანქანო წარმოებაშიაც. თქვენ იცით, ბატონებო, რომ საშუალო საუკუნოების ამქრულ წესწყობილებაში შეუძლებელი იყო მსხვილი კაპიტალი, მსხვილი საქარხნო მრეწველობა და წარმოება. მაშინ არსებობდა მრავალი ისეთი კანონი, რომელიც შეზღუდავდა, განაკერძოებდა შრომის ყოველ დარგს, ასე რომ არც ერთს მრეწველს არა ჰქონდა უფლება შეეერთებინა ორი დარგი, თუნდა ეს დარგები ერთმანეთთან დაკავშირებული, დაახლოვებული ყოფილიყო. კედლის მლესველებს არ შეეძლოთ გახეთქილ ადგილების ამოლესვა, მხატვარს არ შეეძლო მღებავის საქმის აღება, მჭედლები და ზეინკლები მუდამ იმის დავაში იყვნენ, თუ სად თავდება ერთი ხელობა და სად იწყება მეორე. გარდა ამისა, ამქრულ, ხელოსნურ წარმოების დროს კანონით განსაზღვრული იყო სამრეწველო დაწესებულების სიდიდე ყოველს ქალაქში, ყოველს დარგში; ოსტატს არ შეეძლო ჰყოლოდა იმაზე მეტი მუშა-ხელი, რაც დაწესებული იყო კანონისაგან.

თქვენ მიმხვდარი იქნებით, რომ მარტო ამ ორის მიზეზის გამო ერთ დღესაც ვერ გასძლებს ამქრულ წესწყობილებაში მსხვილი წარმოება, რომლისთვისაც საჭიროა: 1) წარმოების სხვადასხვა დარგის თავის მოყრა მსხვილ კაპიტალისტის ხელში და 2) ბევრ საქონლის ერთად გაკეთება და თავისუფალი კონკურენცია, ე. ი. მუშათა განუსაზღვრელ რიცხვის ყოლა სამრეწველო დაწესებულებაში.

რა მოხდება, რომ საამქრო წესდების შემოღება მაინც-და-მაინც მოიწადინონ?

მოხდება ის, რომ სხვადასხვა დარგის მექარხნე დახურავს თავის ქარხანას და დაითხოვს მუშებს; ასევე მოიქცევიან რკინის გზების დირექციები; აგრეთვე ოსტატებიც, ზოგი კანონის ძალით, ზოგიც თავის ნებით, დაითხოვენ თავიანთ ქარგლებს; ეს აუარებელი ხალხი გამოვა ქუჩაზე და დაიწყებს პურისა და სამუშაოს თხოვნას. ამათ ამოუდგება გვერდში სხვილი ბურჟუაზია, წააქეზებს მათ, გაამხნევებს, შეეწევა ფულით და გაჩაღდება ბრძოლა, რომელშიაც, უეჭველია, დამარცხებული დარჩება ჯარი.

მაშასადამე, თქვენ ხედავთ, რომ **მსხვილი მრეწველებიც კონსტიტუციის ნაწილი ყოფილან.**

ახლა წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა: მთავრობამ მოიწადინა ისეთი ზომების შემოღება, რომელიც ეწინააღმდეგება მსხვილ ბანკირების ინტერესს,—ვთქვათ მთავრობამ გამოაცხადა: სახელმწიფო ბანკი არ უნდა ემსახურებოდეს მარტო მსხვილ ბანკირებსა და კაპიტალისტებს, რომლებიც უმისოდაც შეძლებულნი არიან! სახელმწიფო ბანკი არ უნდა აძლევდეს კრედიტს და არ უნდა უიაფებდეს კიდევ ამ კრედიტს მარტო ბანკირებსა და კაპიტალისტებს, როგორც ეს ახლა არის, არამედ ის უნდა ემსახურებოდეს სხვა მიზანს: ის უნდა ხელს უმართავდეს იაფ კრედიტს აძლევდეს ღარიბსა და საშუალო ქონების ხალხს, და ამის მიხედვით უნდა მოეწყოს სახელმწიფო ბანკი. შეიძლებს მთავრობა ამის განხორციელებას?

მართალია, ეს აჯანყებას არ გამოიწვევს, მაგრამ თანამედროვე მთავრობისთვის ამის ასრულება მაინც შეუძლებელია.

საქმე იმაშია, რომ მთავრობას ხანდახან ბლომად სჭირდება ერთბაშად ფული, რომლის გადასახადის სახით ერთბაშად მოკრებას ვერ ბედავს. ასეთ შემთხვევებში იგი მიმართავს ხოლმე მომავალ შემოსავლის დახარჯვას, ე. ი. ვალს იღებს და აძლევს მასში სახელმწიფო ქაღალდებს. ამ ოპერაციისთვის მას ბანკირები სჭირია. მართალია, ეს სახელმწიფო ქაღალდები რამდენისამე ხნის შემდეგ მთელის ხალხის შეძლებულ კლასის ხელში გადადის, მაგრამ ამას დრო უნდა, ხშირად დიდი დროც. მთავრობას კი ახლავე და ერთბაშად სჭირია ფული; ამიტომ მას ესაჭიროება შუამავლები, რომლებიც გაანაღდებენ ამ სახელმწიფო ქაღალდებს და მერე ამ ქაღალდების ხალხში გასაღებას შეუდგებიან. ამ დროს ისინი კიდევაც იგებენ ბირჟაზე კურსის ხელოვნურად აწევით. ეს შუამავლებია ბანკირები, და მათი გადაკიდება მთავრობას არ არგია.

როგორც ხედავთ, **ბანკირები და საერთოდ ბირჟაც კონსტიტუციის ნაწილი ყოფილა.**

ან, ავიღოთ სხვა შემთხვევა: მთავრობას მოუვიდა ფიქრად გამოსცეს ერთი ახირებული კანონი, მაგ., ჩინური კანონი, რომლის თანახმად ქურდობისთვის სჯიან ქურდის მამას. ეს სურვილი ვერ განხორციელდება, რადგან იგი მეტად ეწინააღმდეგება ჩვენს დღევანდელ კულტურას, საზოგადოებრივ სინიდისს. ყველა მოხელე აღშფოთდება ამაზე, თვით კეთილშობილთა პალატის წევრებიც დაიწუნებენ ასეთ კანონს. აქედან თქვენ ხედავთ, რომ **რამოდენიმედ საზოგადოებრივი სინიდისი და კულტურაც ყოფილა კონსტიტუციის ნაწილი.**

ან, ვთქვათ, მთავრობამ გადასწყვიტა დააკმაყოფილოს თავად-აზნაურობა, ბანკირები, მსხვილი მრეწველნი და მსხვილი კაპიტალისტები, მაგრამ, სამაგიეროდ, მოიწადინა წაართვას პოლიტიკური თავისუფლება მუშებსა და წვრილ ბურჟუაზიას. შეიძლებს ამის შესრულებას მთავრობა? დიაღ, ამას კი შეიძლებს. მაგრამ დროებით. ჩვენ უკვე გვინახავს, რომ ეს შესაძლებელი ყოფილა. ქვემოდ ამ კითხვაზე კიდევ გვექნება ლაპარაკი.

ახლა კი წარმოვიდგინოთ შემდეგი: წვრილ ბურჟუაზიასა და მუშებს ართმევენ არა მარტო პოლიტიკურ თავისუფლებას, არამედ პირადსაც, ე. ი. უნდათ გამოაცხადონ ისინი ყმებად, მიწათ-მფლობელების ქვეშევრდომებად, როგორც ეს იყო წინად თითქმის ყველა ქვეყნებში. შეიძლებენ ამის შესრულებას? ვერა, ამას ვერ შეიძლებენ, თუნდაც ამ მიზნისთვის შეერთდნენ მეფე, თავად-აზნაურობა და მსხვილი ბურჟუაზიაც. თქვენ მაშინ იტყვით: ისევ სჯობიან დავიხოცოთ და ამას კი ვერ მოვითმენთო. მაშინ მუშები თითონვე დაკეტენ ფაბრიკებს და გამოვლენ ქუჩაში, მათ მიემხრობა მთლად წვრილი ბურჟუაზია; რადგან აღელვებული ხალხის შეერთებულ ძალას ვერავითარი ჯარი ვერა სძლევს, ამიტომ, როგორც ხედავთ, **თქვენც ყველანი კონსტიტუციის ნაწილი ყოფილხართ.**

ახლა კი გავიგეთ, თუ რა არის რომელისამე ქვეყნის კონსტიტუცია; ეს არის—ამ ქვეყანაში არსებულ **ძალთა რეალური ურთიერთობა.**

ის რაღა არის, რასაც ჩვეულებრივად ეძახიან კონსტიტუციას? რა არის უფლებრივი კონსტიტუცია? ამის პასუხი ახლა ყველასათვის ცხადია.

ეს ძალთა რეალური ურთიერთობა იწერება ქაღალდზე და, რაკი დაწერილია, იგი აღარ არის ძალთა უბრალო ფაქტიური ურთიერთობა—იგი ხდება **უფლებად, უფლებრივ დაწესებულებად** და, ვინც მის წინააღმდეგ წავა, იმასა სჯიან.

ახლა იმასაც თავისით მივხვდებით, თუ როგორ ხდება ძალთა ფაქტიური ურთიერთობა უფლებრივ ურთიერთობად, ე. ი. როგორ იწერება კონსტიტუცია.

ცხადია, არ დასწერენ: ესა და ეს მექარხნე კონსტიტუციის ნაწილია, ესა და ეს ბანკირიც კონსტიტუციის ნაწილიაო და სხვ., არამედ ამას გამოხატავენ ლამაზის სიტყვებით, „განათლებულად“!

მაგალითად, თუ უნდათ, რომ კაპიტალისტთა და მრეწველთა მცირე რიცხვს იმდენივე ან მეტი უფლება ჰქონდეს სახელმწიფოში, რამდენიც აქვთ ღარიბ მოქალაქეებს, მუშებსა და გლეხებს ერთად, ამას პირდაპირ და გულახდილად კი არა სწერენ. ამისთვის ისინი გამოსცემენ ხოლმე ისეთს კანონს, რომელიც ჰყოფს ამრჩევლებს სამს კლასად, იმის მიხედვით, თუ ვინ რამდენ სახელმწიფო გადასახადს იხდის, ე. ი. ვის რამდენი ქონება აქვს; ასეთი იყო, მაგ., მეფისაგან 1849 წელს ნაწყალობევი სამკლასიანი საარჩევნო კანონი.

თანახმად ოფიციალურის სიებისა, რომლებიც შეადგინა მთავრობამ ამ კანონის გამოცემის შემდეგ, პრუსიაში ითვლებოდა: 3,255,600 ამომრჩეველი, რომლებიც სამს კლასად იყოფოდნენ ამნაირად:

პირველ საარჩევნო კლასს ეკუთვნოდა მთელს პრუსიაში—153,808 ამომრჩეველი, მეორეს—409,945 და მესამეს—2,691,950 ამომრჩეველი; ეს ციფრები ოფიციალურ სიებიდან არის ამოღებული.

როგორც ვხედავთ, აქ 153,808 მდიდრებს აქვთ იმდენივე პოლიტიკური უფლება, რამდენიც 2,691,950 დაბალ მოქალაქეებს, მუშებსა და გლეხებს. ეს სულ ერთია, იმას ნიშნავს, რომ კონსტიტუციაში პირდაპირ, ურცხვად ეწეროს: **მდიდარს უნდა ჰქონდეს 17-ჯერ მეტი პოლიტიკური უფლება, ვიდრე სხვა მოქალაქეს, ან იმდენი, რამდენიც აქვს 17 სხვა მოქალაქეს.**

ამ სამკლასიან საარჩევნო კანონის გამოცემამდე პრუსსიაში მოქმედებდა 1848 წლის 8 აპრილის საყოველთაო საარჩევნო კანონი, რომელიც აძლევდა ყოველ მოქალაქეს, განურჩევლად ქონებისა, თანასწორ საარჩევნო უფლებას, თანასწორ პოლიტიკურ ძალას, თანასწორ უფლებას სახელმწიფოს მიზნის გამორკვევაში. ამაში სჩანს ზემოდ გამოთქმულის აზრის სიმართლე. სამწუხაროდ, ადვილი ყოფილა მშრომელ ხალხისთვის პოლიტიკურ თავისუფლების წართმევა, თუ პირდაპირ მათის პირად თავისუფლებისა და კერძო საკუთრების წართმევა არ მოიწადინა მთავრობამ. ისინი გაჩუმდნენ, როდესაც საარჩევნო უფლება წაართვეს.

როდესაც უნდათ კონსტიტუციაში იმის ჩაწერა, რომ მემამულე თავად-აზნაურთა მცირე რიცხვს უნდა ჰქონდეს იმდენივე საპოლიტიკო უფლება, რამდენიც აქვს სამივე კლასის ამრჩევლებს, ე. ი. მთელს ერს, ამასაც პირდაპირ კი არ ჩასწერენ,—ვინაიდან, რაც პირდაპირი და ნათელია, ის გაუთლელად, გაუნათლებლად არის მიჩნეული. ამ აზრს ასე გამოხატავენ კონსტიტუციაში: ძველ კეთილშობილ მემამულეთა და ზოგიერთ ახალთა წარმომადგენლები შეადგენენ კეთილშობილთა პალატას (ზედა-პალატას); ამ პალატის თანხმობა აუცილებლად საჭიროა, რომ დეპუტატთა პალატის, ე. ი. მთელი ერის წარმომადგენელთა დაწესებულების დადგენილება დაკანონდეს და ძალაში შევიდეს. ამნაირად ერთ მუჭა მემამულე თავად-აზნაურებს ეძლევათ ისეთი პოლიტიკური უფლება, რომელიც კიდევაც სჭარბობს მთელის ერის, მისი ყველა კლასების უფლებას.

აგრეთვე, როცა უნდათ, რომ მეფეს ჰქონდეს იმდენივე ან ბევრად მეტი უფლება, რამდენიც აქვს მთელ ერს, ყველა კლასებს და თავად-აზნაურობას ერთად, იქცევიან ასე:

კონსტიტუციის 47 მუხლში სწერენ: „მეფე ამწესებს ჯარის ყველა თანამდებობის პირთ“, 108 მუხლი კი პირდაპირ ამბობს: „ჯარი კონსტიტუციის შესრულებაზე ფიცს არ აძლევს“. აღმოცენდა ახალი თეორია, რომლის თანახმად მეფეს ჯართან სულ სხვანაირი დამოკიდებულება აქვს, ვიდრე სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან. იგი ჯარისთვის არა მარტო მეფეა, არამედ კიდევ რაღაც განსაკუთრებული, საიდუმლო, მიუწდომელი რამე, რომლის აღსანიშნავაო გამოუგონებიათ სიტყვა „მხედართ მთავარი“. დეპუტატთა პალატას ანუ ერს ჯართან თურმე საქმე არა აქვს, მას უფლება არა აქვს გაერიოს ჯარის შინაურ საქმეებში, მის ორგანიზაციაში. იმან, ერმა, მხოლოდ სარჩენი ფული უნდა იხადოს ჯარისთვის. უნდა გამოვტყდეთ,—სიმართლე ყველასა სჯობია,—რომ ეს თეორია არც უსაფუძვლოა: ამის საფუძველს შეადგენს კონსტიტუციის 108 მუხლი. რაკი კონსტიტუცია აღიარებს, რომ ჯარი ვალდებული არ არის კონსტიტუციის შესრულებაზე ფიცი მისცესო, რაც აუცილებელია ყველა სახელმწიფო მოხელეთათვის, თვით მეფისთვისაც, ამით ის აღიარებს იმ პრინციპს, რომ ჯარი მის გარეშეა, ჯართან მას საერთო არა აქვს რა, რომ ჯარი ექვემდებარება მარტო მეფეს პირადათ და არა სახელმწიფოს.

რაკი დაწესდება, რომ მეფე ნიშნავს ჯარის ყველა თანამდებობის პირთ, რომ ჯარი ემორჩილება მხოლოდ მეფეს, ამით მას ეძლევა ჯერ მეტი საპოლიტიკო უფლება, ვიდრე მთელს ერს, მთელს სახელმწიფოს; თუნდაც შეიძლება ამ უკანასკნელის ნამდვილი ძალა ათჯერ, ოცჯერ და ორმოცდა ათჯერ აღემატებოდეს ჯარის ძალას. ეს თითქო წინად ნათქვამს ეწინააღმდეგება, მაგრამ ნამდვილად კი ამას სულ უბრალო მიზეზი აქვს.

მეფის პოლიტიკური უფლების იარაღი—ჯარი—მოწყობილია; იგი ყოველ წუთს შეკრებილია; იგი მშვენიერად მოქნილია დისციპლინით; იგი ყოველ წამს მზად არის სამოქმედოდ. ხალხის ძალა კი, თუნდა იგი ნამდვილად ბევრად მეტიც იყოს, პირიქით, მოუწყობელია. ხალხის ნების, მისი გადაწყვეტილების გამოცნობა-გამოანგარიშება ძნელია; ამიტომ არავინ არ იცის კარგად, რამოდენი ხალხია მის მხარეზე. გარდა ამისა, ხალხს არა აქვს ის იარაღი, რომელიც კონსტიტუციის ერთს უსაჭიროეს ფუძეთაგანს წარმოადგენს და რომელიც უკვე მოვიხსენიე—ზარბაზნები. მართალია, ამ ზარბაზნებს იძენენ ხალხის ფულით; მართალია, ისინი მზადდება და უმჯობესდება მეცნიერების მიხედვით, რომელსაც ავითარებს იგივე საზოგადოება, ხალხი. თვით მათი არსებობა ამტკიცებს, რამდენად დიდია საზოგადოების ძალა, რამდენად განვითარებულია მეცნიერება, ტეხნიკური ხელოვნება, შრომა. მაგრამ სწორედ აქ გაგახსენდებათ ვირგილიუსის ლექსი:—აკეთებ შენ, მაგრამ არა შენთვის!. ზარბაზნები მზადდება მოწყობილ ძალისთვის, ჯარისთვის. ამიტომ ხალხმა კარგად იცის, რომ შეტაკების დროს მისი ნაწარმოები, მისი ძლიერების მოწმე მისსავე მოპირდაპირეს ბანაკში იქნება. ამიტომ არის, რომ მცირე, მაგრამ მოწყობილი, მოწესრიგებული ძალა ხშირად დიდხნობით ბატონობს უდიდეს, მაგრამ მოუწყობელ ძალაზე; ამიტომ არის, რომ ერთხელვე გამაგრებული მთავრობა დიდხანს ბატონობს თავის ხალხზე, მის დაუკითხავად ატრიალებს მის ბედ-იღბალს, მთელი ხალხის ინტერესებისა და ნების წინააღმდეგ მოქმედობს, სანამ ილაჯ-გაწყვეტილი და მოთმინებიდან გამოსული ხალხი, კიდითკიდემდე არ შეინძრევა...

ეროვნული

ხალხის ცხოვრება თვით-მოქმედების სარჩულზე დაამყაროს. (ნ. ყ.).

ნ. გ.

რუსეთი

პრესსის თავისუფლება. მესამე წ მეოთხე ტომი ჟურნალის ,,ზაპ. იმპ. რუს ტეხ. ობშ." ცენზურამ დაიჭირა.

კიევის ქალაქის თავის ჩივის, ცენზორი საბჭოს კრებების სულ უბრალო და უმნიშვნელო ანგარიშებსაც კი არ უშვებს და ამრიგად ნებას არ გვაძლევს, ჩვენს ამომრჩეველებს ჩვენი შრომა და ამ შრომის ნაყოფი შევატყობინოთო. (პრ.).

✦ პეტერბურგის რესტორანების პატრონებმა პოლიციას ხელწერილი მისცეს და ვალად იდეს, რომ ცალკე კაბინეტებში 15 **კაცზე მეტს არ შეუშვებენ.** თუ კაბინეტში 15 კაცზე მეტი შევიდა, რესტორანის პატრონმა ამის ნებართვა ბოქაულს უნდა სთხოვოს და ამასთან შეატყობინოს გვარები სადილის ჭამის მსურველთა. რესტორანის პატრონი მოვალეა მოსადილეებს თვალ-ყური ადევნოს და სიტყვები არ წარმოათქმევინოს, ან, თუ წარმოათქმევინა—შინაარსი პოლიციას შეატყობინოს (ნოვ.).

✦ პოლტავის პოლიცმეისტერმა ,,**მავნე მიმართულებისა გამო**" სამსახურიდან დაითხოვა ორი კაზაკი, რომელნიც ადგილობრივ ცხენოსან დარაჯთა რაზმში მსახურობდნენ (პრ.).

✦ ოდესელები ზედი-ზედ თხოულობენ ოდესაში სამხედრო წესის მოსპობას, რადგან ამ წესის გამო ოდესაში მთლად შესწყდა მრეწველობა და ვაჭრობა. ამაზე გენერალ-გუბერნატორმა ცივი უარი სტკიცა ოდესელებს და განაცხადა, **სამხედრო წესი ოდესაში 6 თვეს კიდევ იქნებაო** (ო. ნ.).

✦ ოდესაში, აშვინაზის სახლში, იპოვეს 2 **ყუმბარა,** მეორე—ბროდსკის სახლშიაც იპოვეს ყუმბარები და სხვა იარაღი! ოდესის გრადონაჩალნიკმა ამის გამო სახლის პატრონებს თითოს 3000 მანათი გადაახდევინა, სახლების მოურავები და ბინების პატრონები კი რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადაასახლა (ო. ნ.).

✦ ოდესის გრადონაჩალნიკმა **ქალაქიდან განდევნა** ქალაქის ის წარმომადგენელნი, რომელნიც მოსკოვში მომხდარ რუსეთის ქალაქების წარმომადგენელთა კრებას დაესწრნენ (ო. ნ.).

✦ ივნისის გასულს ხულიგანებმა კიევში **ებრაელები აიკლეს.** ხულიგანები დილიდან საღამომდის დადიოდნენ ქალაქში და ებრაელების სახლებს სძარცვავდნენ, თვითონ ებრაელებს კი უმოწყალოდ სცემდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კიევში რამდენიმე ათასი პოლიციელი და სალდათია, ხულიგანებისთვის ხელი არავის შეუშლია (პრ.).

✦ ოდესაში მომხდარ ამბების შემდეგ ოდესის სხვადასხვა სასაფლაოებზე **დაასაფლავეს 300-მდე მოკლული.** რამდენიმე ასი დაჭრილი საავადმყოფოში წევს. ზოგიერთების ანგარიშით, რამდენიმე ასი კაცი თავიანთ სახლებში უნდა იწვეს (პრ.).

✦ რეველში რამდენიმე ათასი კაცი შეიკრიბა ქალაქის განაპირა უბანში. აქა-იქ **წითელი დროშები მოსჩანდა.** რამდენსამე ალაგას ნიღაბ-აფარებული ორატორები სიტყვებს ამბობდნენ. საქმეში არავინ ჩარეულა (რ. ვ.).

✦ მოგილიოვისა, ტვერისა, სამარისა და სარატოვის გუბერნიებში სიმშილობის გამო **გლეხთა მოძრაობა განახლდა** (პრ.).

✦ ფიქელში (ლივლ. გუბერ.) გლეხებმა დიდი არეულობა მოახდინეს. გლეხების დასამშვიდებლად პოლიცია წავიდა, მაგრამ იძულებული გახდა უკანვე დაბრუნებულიყო (რ.).

✦ საიმპერატორო თეატრების ბალერინა **ქსეშინსკაია პეტერბურგში საუცხოვო სახლს აშენებს.** ქსეშინსკაიამ მარტო ადგილში ნახევარი მილიონი მანათი მისცა (პ. გ.).

✦ ოდესის **გენერალ-გუბერნატორმა აკრძალა** ქუჩებში „სინ ოტეჩესტვა"-სი, „ნაშა ჟიზნ"-ისა და „ნოვოსტი"-ს გაყიდვა. (რ. ვ.).

✦ მოსკოვის სამხედრო ოლქის უფროსმა მადლობა გადაუხადა და **ფულით დაასაჩუქრა რამდენიმე სალდათი,** რომელთაც პროკლამაციების დამრიგებელნი და აგიტატორები დაიჭირეს (ნ. დ.).

კორესპონდენცია

შუა-ქართლი, 16 ივლისი. არა სცხრება შუა-ქართლის გლეხობა. მუდამ დღე ხდება თავადებსა და გლეხობას შორის შეტაკება; გაისმის ყველა სოფლიდან უკმაყოფილების ხმა და ეს მჭექარე ხმა მდუღარესავით ესხმის მთელს შუა-ქართლს. ყველა სოფლებში საქმეებს განაგებენ ამორჩეული კაცები: ათის-თავი და ასის-თავები. ყველა სოფლების რაიონს თავიანთი წარმომადგენელი ჰყავთ. ყოველივე კავშირი ბიუროკრატიასთან შეწყვეტილი აქვთ; ადარსად მამასახლისი, არსად „სუდია-პომოშნიკის" ხსენება არ არის. ქურდობა-ავაზაკობა, ერთი-ერთმანეთის მტრობა და ჩხუბი ძლიერ იშვიათია დღეობები სულ გადააგდეს, ქელეხებიც იშვიათად, რომ მამსგავსებული იყოს წინანდელთან. ახლა თუ მოკვდა ვინმე, სულ უბრალო ქელეხს უხდიან, ქორწილებიც ასეთივეა. მღვდლებს ჯვრის საწერს მანათ-ნახევარსა და სამკვდროს მანათს აძლევენ. მემამულეებს დალის მეათედს უხდიან. სოფლებში ურიები აღარ დაწანწალობენ; ყველას ბოიკოტი აქვს გამოცხადებული. ბევრს ეცადნენ პოლიციელნი, ურიები სოფლად გაეშვათ, მაგრამ ამაოდ.

ცხინვალში შესანიშნავად მოქმედობენ მცხოვრებნი: ხელი-ხელ-ჩაკიდებულნი, მდიდარი თუ ღარიბი, სომეხი თუ ქართველი, ურია თუ ოსი—მიისწრაფვიან ეკლიან გზის გასათელად. ზოგიერთა ლოთებს აკრძალული აქვთ სამიკიტნოებში ღვინის ან სხვა რაიმე მაგარ სასმლის სმა,—ჭიქა არაყში რომ მანათი მისცენ, მიკიტნები არ დაალევინებენ. მთვრალ კაცს ვეღარ შეხვდებით.

ცხინვალში ჩამოდიან ოსები ჯავის ხეობიდან, ედისიდან და აქაურ ამორჩეულ კაცებთან სჩივიან სათავად-სახნო საქმეზე. ერთი ქურდი ოსი ამას წინად აქ დაიჭირეს, გამოსტყუეს ქურდობაში და, რაც მოპარული ჰქონდა, სულ გადაახდევინეს.

სასამართლო ცარიელია, საქმე აღარა მიდის რა, სასტიკად აკრძალულია სასამართლოში ჩივილი და ვინც კი ამას გაბედავს, ხელად ბოიკოტს უცხადებენ

15-ს ამ თვეს ცხინვალიდან კაზაკები მეიდეთში წავიდნენ, აქ მარტო სალდათები დარჩნენ. ორმოცამდის კაზაკი დასცემია ზემო-ნიქოზის ვენახებში რამდენსამე შეიარაღებულ ბიჭს, მაგრამ ვერც ერთი ვერ დაეჭირათ,

ქარ-ცეცხლი.

—

სოფ. ხელთუბანი (გორის მაზრა), 12 ივლისი. ღამის 8 საათზე, აქ დაბანაკებულ კაზაკთა ასეულის კომანდირმა წყაროსთან დუქნის წინ მყვირალ ხალხს საომარ დროის წესები გამოუცხადა, გააფრთხილა: რადგანაც ვენახებში თურმე ღამე რაღაც კრებები იმართება, ამიტომ ვინც რვა საათს იქით ვენახში წავა, იცოდეს ან მოვკლავთ, ან დავიჭერთო.

ქვა რომ დააბეს და ძაღლი აუშვეს, ჩვენი საქმე ისეა. თუ რამეა ან ფეხის მოსავალი, ან ხილი, ახლაა. უპატრონოდ დატოვებულ ვენახებს ღამის რაინდები, უშველია, ხეირს არ დააყრიან, რადგან მოსწრობის შიში არ ექნებათ და თავის ნებაზე გაჰზიდავენ, რაც მოესურვებათ.

მედუქნეებსაც გამოუცხადეს, თუ ათ საათს იქით ღია იქონიეთ, უშველად დაგილეწავთო. მას აქეთ თოფიანი კაზაკები მთელი ღამე სოფელში დაიარებიან.

ზოგიერთებს ძალიან იმედი მიეცათ, ეს არის, ახლა კი გვეშველება და ბოლო მოეღება ტეტიების თამაშობასაო.

მაგრამ ერთი გლეხი შემომჩივლა,—თქვე დალოცვილო, არ ვიცი, რა არის ჩემს თავსაო: რო დავფიქრდები, ახლა მიკვირს და მეცინება, აქამდისინ რად ვიყავით ყრუნი, რომ არაფერი გვესმოდა, და ბრმები, რომ ვერ გხედავდით. ალბად ეს ყოფნაც ღვთისგან თუ არისო. არ ვიცი, თუ მომკლენ, თორემ ცოცხალი კი აღარ დავთმობთ იმას, რაც „ერთობამ" შეგვძინაო.

ერთმა იერეთელმა ოსმა ჩვენში შუშა ჩამოიტანა და გაყიდა. ერთმა ფიჩხი შეუკვეთა, ჩამომიტანე და ვიყიდიო. ოსმა უთხრა, ჩამოსატანად კი ვერ მოვიცლი და, თუ გინდა, ამოდი, ურემი ამოიტანე, დაუდე და წამოიღე, რამდენიც გინდაო.

— მერე რომ თუღაშვილებმა წამართვანო?—დაეკითხა ხელთუბნელი.

— როგორ თუ თუღაშვილებიო,—გაცეცხლდა ოსი, ვინ არიან თუღაშვილები, ტყეც ჩვენია და ადგილიცო. თქვენ რა ხალხი ჰყოფილხართ, დედაკაცების კაბიდან თავი ვერ გამოგიყვიათო. ღმერთმა აცოცხლოს, ვინც „ერთობა" ჩამოაგდოო.

ასეთ იმედიანად ლაპარაკობდა, რომ იმას წინაღმდეგს ვეღარა გზით ვერ ჩააგონებდი და, რომ ცეცხლითა და მახვილითაც მოინდომონ მის თავიდან ამ რწმენის გამოდევნა, მაინც ის სასოებით მოიგონებს იმ ნეტარ დროს, როცა ერთობის ხალხი ძმობასა და სიყვარულს უქადაგებდა და ქვეყანაზე „ერთობა" იყო გამეფებული.

იმავე დღეს, დილით, ასე ამოატარეს ოსებმა ერთი მძიმედ დაჭრილი ოსი, ს. ძონკარში მცხოვრები, ივანე ვალიშვილი. როგორც სთქვეს, თურმე ძალიან გაქნილი და მეძლებული კაცი ყოფილა. კვერნაკთან დახვედროდა ოთხი შეიარაღებული ოსი და დაეჩეხნათ, როგორც „ერთობის" მოღალატე.

დაჭრილი იყო ხელებსა და თავში. როგორც გავიგე, პოლიცია ძალიან დაინტერესებულიყო იმათ დასაჭერად.

აქეთ კალოები უკვე შეაბეს. დასეტყვილ ყანებს კალოს კოდ-ნახევარი ძლივს ადის. გვალვამა და ქვენა ქარმა სიმინდები სულ გადასწვა. ვენახებიც დასეტყვა და დიდი გაჭირება მოგველის. ეს კია, ხალხი ისეა გატაცებული, რომ გაჭირებაზე ვერავისგან დაჩივლებას ვერ გაიგონებთ. პირიქით, იძახიან, შარმანდლისთანა მოუსავლობა არ ყოფილა, ამ ზამთარსვე არა გვქონდა ჭირნახული, მაგრამ რადგან სხვადასხვა ხარჯებისგან თავისუფალი გავხდით, უჭირნახულობა არც კი გაგვიგია, რადგან, რასაც ვშოვობდით, სულ შინ ვხარჯავდითო.

რ.—დეთ.

—

ქ. სიღნაღი. ქვეყანა მოძრაობაშია, დუღს, შფოთავს. ქალაქი, დაბა და სოფელი წინ მიიწევს უფლების მოსაპოვებლად. საითაც გაიხედავთ, გაფიცვის ხმა გესმით, ყველა მიილტვის კეთილ მიზნისაკენ, და ჩვენს ქალაქ სიღნაღს კი სძინავს. სძინავს მდევურ ძილით და არაფერში არ ერევა.

ორიოდჯერ სცადეს აქაურმა პატარა ნოქრებმა და მოითხოვეს დროს განსაზღვრა და კვირაობით დუქნების დაკეტვა, მაგრამ იაფად არ დაუჯდათ ამ ნოქრების საბუთიანი მოთხოვნა; განრისხებულმა ადებმა სულ კუდით ქვა ასროლინეს და თავზე კაკალი დაამტვრიეს. ახლა ეს საცოდავი და საბრალო არსებანი მოწიწებით და გულ-ხელ დაკრეფით შესცქერიან ადებს ადები, ამით გაამაყებულნი, დოინჯ-შემოყრილნი გასძახიან ერთმანეთს: „ჰა, არტემ! მეეღოთ"? „აბა ერთიც გაბედონ"! და სხვა.

თუ ქალაქ სიღნაღმა ვერ ისახელა თავი და ვერ ჩაება საერთო მოძრაობის ფერხულში, სამაგიეროდ, აქ. ორმა „ინტელიგენტმა" ვაჟ-ბატონმა ისახელა თავი, თავის პატიოსანი ყოფა-ქცევით და სინიდისით. ერთია ი. ნას.—შვილი, მეორე ი. ა. ზურაშვილი. ი. ნას.—შვილმა დანიშნა ერთი ოჯახის ქალი, მოატყუა იგი და თავის დანებება განიზრახა, მაგრამ ქალმა და მისმა დედმამამ უჩივლეს. და ი. ნას.—შვილმა საბრალმდებლო ოქმი მიიღო. ახლა ი. ნას.—შვილი თვალცრემლიანი ევედრება ქალის დედმამას, შემირიგეთ, თქვენ ქალზედ ჯვარი დამწერეთ, თორემ დავიღუპები და ციმბირიც აქედ დამრჩებაო.

ი. ნას—შვილი, ამ შემთხვევაში ზურაშვილზე პატიოსანი გამოდგა. ი. ნას—შვილი ახლა ბოდიშს მაინც ითხოვს, ზურაშვილმა კი თავისი პირველი დანიშნული გააუბედურა, მოატყუებით სახლში გაისტუმრა და დღე-დღეზე სხვაზე აპირობს ჯვარის დაწერას ამ მისმა უგვანო საქციელმა მთელი სიღნაღი აალაპარაკა, საბრალო ობოლი ქალი (იგი მღვდლის, დედით ობოლი, ქალია) ყბად აიღეს და, ვინ იცის, რა სასოწარკვეთილებამდის მივიდეს ახალგაზდა, ზურაშვილისაგან ასე უსინიდისოდ მოტყუებული ქალი!

რასაკვირველია, ზნეობა ყველას თავისებურად ესმის, მაგრამ ადამიანი უდანაშაულო ადამიანის დამღუპველი მაინც არ უნდა შეიქმნეს!

ქიზიყელი.

—

ქ. გორი, 6 ივლისი. ცხოვრება დღითი-დღე იცვლება და მისი ძველი არშინით ზომვა ხშირად გამოუსადეგარია. ეს ისეთი უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომელსაც ახსნა და გარკვევა არა სჭირია. გორის ცხოვრებამ ახლა სულ სხვა ელფერი მიიღო. მართალია, გორს ბევრი რამ ისეთი აკლია, რასაც განათლებული ადამიანი ძნელად შეელევა, მაგრამ ეს ბრალი ხალხს არ ედება,—ხალხმა რა ჰქნას, თუ კი მას დღემდე ისეთი პირნი მეთაურობდნენ, რომელნიც მხოლოდ წარსულისკენ იყურებოდნენ, რადგან მომავალში თავიანთი საკეთილო არაფერი ეგულებოდათ. აკი ხალხი მიჰყვა, როცა მისმა მეთაურებმა უთხრეს, ციხე უნდა შევაკეთოთო; აკი ხალხმა არ დაზოგა არც საკუთარ ჯიბიდან ამოღებული ფული და არც თავისი უსასყიდლოდ შრომა, გზა გაიყვანა, შიგ ციხეში ბაღი გააშენა და სხვ., რადგან ეგონათ, რომ ძალიან სასარგებლო რასმე აკეთებდნენ, თუმცა ამავე დროს მათ ბევრი უფრო საჭირო მოთხოვნილებანი ჰქონდათ, როგორც, მაგ. აბანო, სახალხო სახლი, ბიბლიოთეკა და სხვა. ახლა იმოდენა ხარჯის შემდეგ (რამდენიმე ათასი მანათია დახარჯული), რა მოუტანა მათ იმ ოდესღაც დიდებულმა ციხემ? სრულებით არაფერი, ჯერ კაცი ვერ ავა იქ გამუდმებულ ქარის გამო, და, მეორეც, ციხე თითქმის მუდამ დაკეტილია და, ვინ იცის, რა დროს არის ღია, რომ სწორედ მაშინ ავიდეს კაცი.

რაც აქამდის ცუდი რამ სჭირდა გორს, სულ მისი მეთაურების ბრალია. ხალხი უკვე აღარ ენდობა მათ, ხალხმა დაჰკარგა რწმენა რომელთაც თავიანთი საკუთარი საქმის თავი და ბოლო ვერ გაუგიათ და ხალხს კი ცხოვრებაში წინამძღვრად უხდებიან. ხალხმა იგრძნო, რომ თუ შესტკივა მისთვის ვისმე გული, ისევ ხალხისავე შვილის, ხალხშივე აღზრდილს, რომელმაც იცის ყოველი მისი გასაჭირი, ყოველი წყლულნი და ეცდება კიდეც. რომ ამ ხალხის იარას შესაფერი მალამო მოუნახოს და დაადოს.

4 ივლისს, საღამოთი, აქ ამოვიდა გენ.-ად. თ. ი. გ. ამილახვარი. მეორე დღეს, 5 ივლისს, დილით, დაიბარა ყველა ამქრის უსტაბაშები, ურჩია, ნუ ასდევენ რომელნიც ხალხსა რევენ; დაავალა, გაეგოთ მათ და ეთქვათ, ვინ არიან მეთაურები არეულობისა, და ბოლოს დაემუქრა: თუ ამას იქით გორში ვინმე დასჭრეს ან მოჰკლეს, მაზრის უფროსს ვეტყვი, რომ თქვენ მოგთხოვოთო. ნება მისცა, თუ გინდათ შეიკრიბეთ და რაზედაც გინდათ მოილაპარაკეთ, ვიყვნეთო. უსტაბაშებს უნდოდათ პასუხი მიეცათ, მაგრამ დაჰპირდა ამასთანავე, რომ ხუთშაბათს კიდევ ამოვალ და პასუხს მოგთხოვთო. შემდეგ, მაზრის უფროსისა და მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლთან ერთად, ახალ-ქალაქს წავიდა, იქაც ხალხი უნდა დაარიგოს.

გ. ნამორაძე.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

19 ივლისი.

ოსტერბეი, 18 ივლისი. როზენმა რუზველტთან ისაუზმა. რუსეთის ელჩის მიერ რუზველტის ნახვას უმთავრესად ის აზრი აქვს, რომ ს. ვ. ვიტტეს პრეზიდენტთან დარბაზობა მოუმზადოს. ვიტტეს დარბაზობა პრეზიდენტთან, ალბად, მომავალ ხუთშაბათს მოჰხდება, ორის დღით იმაზე ადრე, ვიდრე პრეზიდენტი რუსეთისა და იაპონიის რწმუნებულთ მიიღებდეს.

სიტიაზა, 18 ივლისი. როგორც ისმის, იაპონელნი პოზიციებს ამაგრებენ შახეძი ლიანცუნჩენძის გზაზე, ჩრდილოეთად. ეს პოზიციები მთებსა და კლდე-ღრეებშია და ამიტომ რუსთათვის მიუვალია. ამიტომ, არა გვგონია, თვითონ იაპონელებმა დაიწყონ რუსებზე ზედ-მოსევა ამ გზით. იაპონელნი აღმოსავლეთ ფრონტსაც ამაგრებენ ლინხენჩენძი-ერდაგოუ-ტუნხუანსიანის გზაზე. იაპონელნი ერთის თვის შემდეგ მოელიან მედგარსა და დიდს ბრძოლას. ჩინელთა სიტყვით, იაპონელთა უკანა ჯარის ნაწილებში, მდ. ხუნხესა და ჩაიძიხეს ნაპირებზე, ხოლერა ძლიერდება.

ვლადივოსტოკი, 18 ივლისი. ხშირი ნისლები ცისკიდურს ჰფარავს. როგორც კი ნისლი გადაიყრის, ცისკიდურზე გამოჩნდება ხოლმე იაპონელთა გემებიდან ცეცხლის ნაპერწკლები და ისევ ჩქარა ჰქრება.

გუნჯულინი, 18 ივლისი. (საკ. კორ.) გასულ კვირაში ლაშქრის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა; იყო მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო შეტაკება. განუწყვეტლივი წვიმაა. გზები ძლიერ გაფუჭდა. წვიმების ხანის გათავების შემდეგაც, რომელიც ჩვეულებრივ ერთს თვესა გრძელდება, არა ჰგონებენ, რომ დიდი ბრძოლა მოხდეს.

ტოკიო, 18 ივლისი. იაპონელები სახალინზე სამოქალაქო მმართველობას ჩქარა დააწესებენ. კუნძულზე ჯარსაც დასტოვებენ.

ვაშინგტონი, 18 ივლისი. სატომ განაცხადა, თუ ერთის მხრის რწმუნებულის მოთხოვნილება მეორე მხრის რწმუნებულის უფლებას აღემატება, მაშინ ესა თუ ის რწმუნებული თავისს ხელმწიფეს წარუდგენს მეორე მხრის მოთხოვნილებასო.

ნიუ-იორკი, 18 ივლ. კომურას მდივანი სატო იუწყება, ვიტტე სრულის უფლებითაა აღჭურვილი ზავის ჩამოგდების საქმეშიო.

გაზეთ „ხოში შიმბუნ"-ის რედაქტორმა, რომელიც თან ახლავს იაპონიის რწმუნებულთ, განაცხადა,—ზავის ჩამოგდებამდე ჯერ კიდევ შორს არისო. იაპონელებმა თავდაპირველად უნდა დაიპყრან ხარბინი და ვლადივოსტოკიო. შემდეგ აუცილებლად საჭიროა, რომ იაპონიის მთავრობამ ყურადღება მიაქციოს იაპონიის ერის გრძნობასაც, რადგან იაპონიის ხალხს სრული უფლება აქვს მოსთხოვოს თავის მთავრობას, რომ იგემოს გამარჯვების ნაყოფი. ბრიტანიის მთავრობამ აუწყა გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარიატს, იმედი მაქვსო, რომ იაპონელები გადამეტებულს არაფერს მოითხოვენო. ინგლისს არა სურს დროებითი ზავის ჩამოგდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კონფერენციას შედეგად უსათუოდ ზავი მოჰყვება.

კოპენჰაგენი. იმპერატორი ვილჰელმი მოვიდა.

პარიზი. საფრანგეთის მწერლობა ყურადღებას არ აქცევს ბალტიის ზღვის დაკეტვის პროექტს.

ბელგრადი. არჩევნები დამთავრდა. მთავრობას 81 მომხრე ჰყოლია 160 დეპუტატთაგან.

ჟიტომირი სამხედრო სასამართლომ მეორეთ გადასდო ბოქაულის მკვლელის სიდორჩუკის საქმის განხილვა. ქუჩებში გაკრულია გუბერნატორის განცხადება, რომელიც ხალხს დამშვიდებას ურჩევს.

მოსკოვი. უნივერსიტეტისთვის მიუციათ 800 თხოვნა ახლად მიღებისა და 500 გადაყვანისა.

ივანოვო ვოზნესენსკი. მომუშავეთა დეპუტაციამ განუცხადა უფროს ინსპექტორს, წინანდელ პირობებით შეუდგებით მუშაობასაო, რაც შიმშილობის შედეგია. მექარხნეებისაგან ჯერ პასუხი არ მიუღიათ. ქარხნები დაკეტილია.

ლონდონი, 18 ივლისი. ლორდთა (ზემო) პალატაში კემპერდოუნი შეეკითხა რამდენჯერმე მთავრობას რუსეთის კრეისერების-მიერ ინგლისის სავაჭრო გემების „კალდისა" და „აიკონის" დაღუპვის შესახებ. ლანსდოუნმა უპასუხა, ამის თაობაზე პეტერბურგში მყოფმა ინგლისის ელჩმა მოსთხოვა რუსეთის მთავრობას დაკმაყოფილებაო, და დაუმატა, ახლა ის კრეისერები ვეღარ გაჰბედავენ, რომ ინგლისის ვაჭრობას ზარალი მიაყენონო. დასასრულ ლანსდოუნმა განაცხადა, კიდევ ბეჯითად მოვითხოვთ რუსეთის მთავრობას ჩვენის ზარალის საზღაურსაო.

ვილნო, 18 ივლისი. ამ ივლისის გასულს მოხდება თათბირი ადმინისტრაციის სამოსწავლო უწყების წარმომადგენლებისა ამ მხარეში პოლონურ და ლიტვურ ენების სწავლების შემოღების თაობაზე სასწავლებლებში.

პეტერბურგი ხაბაროვსკის ქალაქის საბჭომ უქვეშევრდომილესი ადრესი გაუგზავნა ხელმწიფე იმპერატორს. შინაგან საქმეთა მინისტრმა ეს ადრესი წარუდგინა ხელმწიფეს, რომელმაც კეთილ ინება და 18 ივლისს საკუთარის ხელით წააწერა: „ვმადლობ ხაბაროვსკის ქალაქის საბჭოს, რომელსაც სრულიად ვეთანხმები მის მიერ გამოთქმულს გრძნობებში".

კოპენჰაგენი, 18 ივლ. „დეილი მელ"-ის კორესპონდენტი იწერება: დამტკიცებით შემიძლიან განვაცხადო, რომ ვილჰელმის განზრახვა გერმანიის პრინცის ნორვეგიის ტახტზე ასვლის შესახებ ვერ განხორციელდებაო.

სოფია. აქ დიდი აღელვება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ბულგარიის ეგზარქოსის სხვაგან ყოფნის დროს გასჩხრიკეს საეგზარხოსო, წაიღეს აუარებელი ნივთი და საეგზარხოსოს მაღალი მოხელეები დააპატიმრეს. ბულგარიამ პროტესტი განაცხადა, მაგრამ ჯერ არ დაუკმაყოფილებიათ.

შანხაი, 18 ივლ. ნაგასაკში მცხოვრებ ჩინელებს განზრახვა აქვთ, ამერიკელების საწინააღმდეგოდ ბოიკოტს 19 ივლისიდან შეუდგნენ.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს.წ. ს. 11) 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.)

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ასტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

გამოსადეგი ცნობანი

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი წიგნი
ბრძოლა არსებობისთვის
დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად
და სხვადასხვა ლექსები და პოემები დ. გაბრუაშვილისა. ისყიდება წერა-კით გამ. საზოგ. და სხვა წიგნის მაღაზიებში. ფასი 60 კ. (30—6—16)

საჭირო და ყოველთვის სახმარებელი
უცხო სიტყვათა ლექსიკონი,
შედგ. ი. იმედაშვილის-მიერ. ფ. უყდოთ 1 მ. ყდით 1—50.
Тифл., книжн. торг. Іос. Зах. Имедашвили.

ბუხჰალტერი-სპეციალისტი
(წელიწადი მესამე)
ამზადებს წელს ბევრად ვრცელ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად, 1. **ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა,** 2. **საზოგადო სავაჭროსა,** 3. **ბანკისას,** 4. **კომერციულ არითმეტიკასა (საშუალო კომერც. სასწ. კურსისა),** 5. **ფინანსიურ გამოანგარიშებასა,** 6. **არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით,** 7. **კომერციულ კორესპონდენციასა,** 8. **ვაჭრობის ისტორიასა,** 9. **ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებში.**
(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის).
სწავლა ყოველ დღე, საღამოს 6-დან 7 საათამდე. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მანათი. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1905 წ.
ადრესი: ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს,** მეორე თიუმანოვის ქუჩა, სახლი 17 (კუკიაში), მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე, საღამოს 4-დან 8 ს-დის, კვირა-უქმეობით კი—დილის 9-დან 2 საათამდის.
მსმენელთ წელს გავაცნობ აგრეთვე სხვა საბუხჰალტერიო სისტემებსაც.
ვამზადებ ზემო-აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 7-დან 8 საათამდის შეეძლებათ სწავლა და, ამასთანავე, თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ, საზოგადო არითმეტიკასა და რუსულ ენაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.
პროგრამა კურსებისა იბეჭდება და მსურველთ უფასოდ შეუძლიანთ მიიღონ.
(15—6)
ალ. გ. საათაშვილი.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 19 іюля 1905 г.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის ქ., № 5.